ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ქურდული სამყაროს 10 წევრი დააკავეს, 1 პირს კი ბრალი ციხეში წარედგინა



გვ.7



გვ.7

გურამ ფალავანდიშვილი: „პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია“

2 ივლისიდან

ანა სიუელი

მშვენიერი შავრა

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი





შაბათი – კვირა, 6 – 7 ივლისი, 2019

№158 (8112)

ფასი: 60 თეთრი

# სალომე სამადაშვილი: „გახარიას ზურგს მოსკოვი უმაგრებს“



გვ.4

## სოსო ცინცაძე: „დღეს პოლიტიკური სამოქალაქო ომია“



გვ.3

„ოცნება“ პოლიტიკურ დაჭერებზე საზოგადოებრივი აზრის შექმნას და მტკიცე ხელის პოლიტიკის გატარებას ცდილობს“

## „ივანიშვილს გაქცევა უნდა, მაგრამ წასასვლელი არსად აქვს“



გვ.2

მეგი გოცირიძე: „პუტინი ოლიგარქს პოლონიუმით ემუქრება“



გვ.3

## ლევან ხაბეიშვილი: „ოცნების“ დეპუტატებს რუსეთთან აქვთ კავშირი“

## რუსი დეპუტატი აკაკი ბობოხიძის საქმის გამოძიებას მოითხოვს



გვ.5

სამართალი გვ.7



## ბესელია და ფოფხაძე მეთოფიშვილისა და გვრიტიშვილის დასჯას ითხოვენ



## მაია რჩეულიშვილისა და ბექა ბასილაიას გამოუცხადებლობის გამო სასამართლო გადაიდო



## ადვოკატი: „მტკიცებულება არ არის, რომ ბესიკ თამლიანი აპირებდა პარლამენტში შეღწევას“

ეკონომიკა გვ.6

## გიორგი კვირიკაშვილის პომპეზურად დაანონსებული პროექტი ბახტაძის მთავრობამ დაიწუნა



112



## სასამართლომ 112-ის გადასახადი არაკონსტიტუციურად ცნო

შენგელია მიხეილ გიორგაძეზე: „საკუთარი ბიზნესპროექტები აინტერესებდათ, დაკავებული იყვნენ კორუფციით“



ISSN 1987-9385
9 771987 938006

4 დავით ჭიჭინაძე: „ამბოხი არ შეიძლება გახადო დასაცინი საქმე“

5 გიგი უგულავა მიხეილ გიორგაძეზე: „სინამდვილეში მოხსნეს, რადგან მთელი მისი სფერო რუსთაველზე დგას“

4 ხოშტარია; „რასაც ხელისუფლება ახორციელებს, გამოძიება კი არა, ორმაგი სტანდარტია“

5 მამუკა არეშიძე: „დავითგარეჯის თემა პოლიტიკურ დონეზე უნდა დაკონსერვდეს“

# „ივანიშვილს გაქცევა უნდა, მაგრამ წასასვლელი არსად აქვს“

## მეგი გოცირიძე: „პუტინი ოლიგარქს პოლონიუმით ემუქრება“

შორენა მარსაგიშვილი

რა დავალება ვერ შეუსრულა ივანიშვილმა პუტინს, რა საფრთხე ელოდება მას რუსეთიდან, როგორ ყიდულობდა ოლიგარქი ნაცმოძრაობის წევრებს, აწყობდა თუ არა ოპოზიცია გადატრიალებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარლამენტის ყოფილი წევრი **მეგი გოცირიძე** ესაუბრება.

***– 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, 2 წელიწადში ერთხელ მაინც გვესმის, რომ ნაციონალური მოძრაობა გადატრიალებას აპირებს. ბოლო ასეთი განცხადება რამდენიმე დღის წინ მოვისმინეთ პროკურატურისგან. ამაზე რა შეგიძლია გვითხრათ?***

– გადატრიალებებზე საუბარს საფუძველი შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე მყოფმა მოცულობითმა ბავშვმა, ლექსო ჭიკაიძემ ჩაუყარა. მან განაცხადა, ინფორმაცია გვაქვს, რომ ნაციონალები გადატრიალებას აპირებენ და ამისთვის სადღაც აქვთ მეორადი საბურავები დასაწყობებულიო. მისი ეს განცხადება სიტყვა-სიტყვით გაიმეორეს „ოცნების“ ლიდერებმაც.

***– თითქმის ყველას პირზე ეკერა საბურავები, მაგრამ დასაწყობებულ საბურავებს ვერავინ მიაგნო.***

– ბუნებაში რაც არ არსებობდა, როგორ უნდა მიეგნოთ. საბურავების „აღმომჩენ“ ჭიკაიძეზე დამატებით მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. ეს მოცულობითი ბავშვი იმ ზონდერების შემადგენლობაში იყო, რომლებიც ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს ოპოზიციის მიტინგებს არბევდნენ.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში თეა წულუკიანი ნაძალადევში იყრიდა კენჭს. ჭიკაიძეც ამ რაიონის პოლიციაში იყო. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, წულუკიანმა საგანგებო ბრიფინგი ჩაატარა, სადაც ის პოლიციელები დაასახელა, ვინც მას ემუქრებოდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ჭიკაიძე.

***– ჭიკაიძე რანაირად უნდა დამუქრებოდა?***

– რანაირად და ჩვეულებრივად. ჩემი თუ არ გჯერათ, დაგუგლეთ და თეა წულუკიანის განცხადება მოიძიეთ.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ მეთქვა, თუ ვინ დგას ახლა ივანიშვილის გვერდში. დღეს რუსეთიდან მოვლენილ ოლიგარქს ის ნაციონალები იცავენ, რომლებიც ნაცმოძრაობიდან „ოცნებაში“ გადაპორტირდნენ.

აი, ეს ხალხი გვაბრალებს ახლა გადატრიალების მოწყობას. არჩილ თალაკვაძეც რომ ამას დაგვაბრალებს, ხომ უნდა გაგიჟდე.

***– და რატომ არის თალაკვაძის განცხადება გასაგიჟებელი?***

– რატომ? 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, პატრიოტთა ბანაკებში ბოლო ხმაზე მღეროდა „მიშა მაგარია“. თავად ხომ მღეროდა და მღეროდა, სტუდენტებსაც ამღერებდა. და ვაი იმას, ვინც მიშა მაგარიას ისე არ წარმოთქვამდა, როგორც საჭირო იყო.

აი, ამ კატეგორიის ხალხი გაიძახის, ნაციონალები აწყობდნენ გადატრიალებასო. ვინ არის ნაციონალი, ნიკა მელია? კაცი პარტიაში 2014 წელს შევიდა.

თავად პარლამენტის შტურმზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი. მართალია, ბევრი ხალხი იყო რუსთაველზე, მაგრამ როგორ უნდა აეღოთ ეს შენობა? 1991 წლის გადატრიალების დროს, ლამის ორი კვირა ესროდნენ ჰაუბიცებს პარლამენტის შენობას და ვერ აიღეს. შიშველი ხელებით როგორ უნდა აეღოთ ეს შენობა?

და თუ რამდენიმე ასეულ ადამიანს შიშველი ხელებით შეუძლია პარლამენტის შენობის ალება, მაშინ იმაზე უარესად ყოფილა სახელმწიფოს მდგომარეობა, ვიდრე ჩვენ გვგონია.



„გახარიამ ორივე თვალი რომ დაგვთხაროს, ქვეყანაში არსებულ ვითარებას მაინც შევიგრძნობთ“

დავუშვათ და შევსულიყავით ცარიელ პარლამენტში, რა უნდა გადაგვეტრიალებინა?! ერთადერთი თუ ვინმე გადატრიალდებოდა, ეს 10 საათზე დაწოლილი ივანიშვილი იქნებოდა. ისიც საწოლში გადატრიალდებოდა – ეს როგორ დამიფრთხეს ძილიო.

***– თქვენ ბიძინას გადატრიალება და გამოღვიძება პატარა ამბავი გგონიათ?***

– ახლა უკვე აღარ მგონია. გაეღვიძა ხმაურზე, ხელის ბიჭებს უთხრა, ახლა ესენი მიარბ-მოარბიეთ და დილით რომ გავიღვიძებ, სიმშვიდე იყოსო.

ამ ადამიანმა ქვეყანა ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ სიმშვიდე ველარ იქნება. გახარიამ ერთის მაგივრად ორივე თვალი რომ დაგვთხაროს, ხომ გავიგონებთ რა მდგომარეობაა ქვეყანაში. შეუძლია დაგვაყრუოს კიდეც, მაგრამ ხელის ცეცებით მივაგნებთ მაცივარს, სადაც არაფერი დაგვხვდება და რეალობას შევიგრძნობთ.

მართლა რა უსუსურები და უსირცხვილოები არიან ეს მოღალატეები. იმის იმედი ტყუილად აქვთ, რომ დაჭერებით ვინმეს შეაშინებენ.

ჩვენ დაჭერების არ გვეშინია, შიშით დღეს საქართველოში ერთი კაცია მხოლოდ შეპყრობილი და ამ კაცს ბიძინა ჰქვია.

***– მაგას ვისი ეშინია, თქვენი?***

– ხალხისაც ეშინია, მაგრამ ყველაზე მეტად ეშინია პუტინის. იცის, რომ მოსკოვი მას არ გაახარებს.

***– რატომ არ გაახარებს. ოპოზიცია სულ იმის მტკიცებაში არა ხართ, რომ „ოცნების“ ლიდერი კრემლის ყველა დავალებას ასრულებს.***

– მოდით, დავაზუსტოთ, თითქმის ყველა დავალებას ასრულებს. მთავარი დავალება ოლიგარქმა ვერ შეასრულა. არადა პუტინმა სწორედ ამ მისიის შესასრულებლად დასვა ის ხელისუფლების სათავეში.

***– რა დაავალა ამისთანა შეუსრულებელი?***

– უთხრა, ახლა წახვალ საქართველოს ხელისუფლებაში, ჯერ დაასუსტებ ნაციონალურ მოძრაობასო, მერე დაიჭერ სააკაშვილს და ბოლოს საქართველოს ევრაზიულ კავშირში შეიყვანო.

პირდაპირ უთხრა, რომ ნაციონალური მოძრაობიდან ხალხი ეყიდა. ეს მისია ასე თუ ისე შეასრულა. ამაში მას პალიკო კუბლაშვილი დაეხმარა, რომელსაც რატომლაც აღარავინ ახსენებს ნაციონალურ წარსულს.

***– პალიკო კუბლაშვილი რანაირად დაეხმარა ივანიშვილს?***

– ყველამ იცის, რომ მან მიიტანა იმხელა ფული პარტიაში. ამ ფულის წყალობით იყო, „გირჩის“ შემადგენლობა, ხაჩიძე, ჯაფარიძე, მელაძე და პალიკო რომ გაიპარნენ ნაცმოძრაობიდან. ეს ფულიც თან წაიღეს. ამაზე მოგვიანებით დეტალურად ილაპარაკა კობა ხუბელიანმა.

***– კობამ საიდან იცის?***

– საიდან? კობა იყო ერთ-ერთი, ვისთანაც აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. დიდ ფულს სთავაზობდნენ, რომ ნაციონალებიდან წასულიყო და ჯაფარიძეს შეერთებოდა.

***– ეს ჯაფარიძე ნაციონალების გენერალური მდივანი არ იყო?***

– გენერალური მდივნის მოვალეობას ასრულებდა. ერთი პერიოდი იმასაც კი ვფიქრობდით, რომ 2013 წელს საპრეზიდენტო კანდიდატად დაგვესახელებინა. მერე უცბად გამოგვიცხადა, მიშა არ მინდა და ამიტომ მივდივარ პარტიიდანო.

ცოტა ხანში მათ თან მიჰყვა „ევროპული საქართველო“. მათაც იგივე მოტივაცია ჰქონდათ – არ გვინდა მიშა სააკაშვილი.

***– ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა ახლა რაღაცნაირად დაუახლოვდა მიშას. ხელისუფლება მის დაკითხვას აპირებს და, როგორც ამბობენ, დაკავებაც სურთ. ამ ამბების მერე ხომ არ შეცვალეთ მის მიმართ დამოკიდებულება?***

– ისევ ის დამოკიდებულება მაქვს მის მიმართ, რაც აქამდე მქონდა. ეს დამოკიდებულება კი მას შემდეგ გამიჩნდა, რაც მან, სხვების მსგავსად, მიშას ლანძღვა დაიწყო. მიმაჩნია, რომ სიტყვა ჩიტი არ არის, რომ პირიდან თავისით ამოფრინდეს.

ეს ყველაფერი არის შემდგარი ფაქტი. ეს ყველაფერი მათ თქვეს და ქნეს. ასე რომ, დამოკიდებულებას არ შევიცვლი.

და რატომ მალაპარაკებთ ამდენს გირჩებსა და ევროქოცებზე. მე ხომ ივანიშვილის შეუსრულებელ მისიაზე გესაუბრებოდით.

ბევრი ეცადა ოლიგარქი, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა მაინც ვერ დაშალა. მისი და პუტინის ჯინაზე ხალხი ისევ სააკაშვილის პარტიას უჭერს მხარს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ გვყავს ყველაზე მეტი ამომრჩეველი.

ბიძინამ უკვე გაიგო, რომ საქართველოში ყველას ვერ იყიდის. ყველა რომ ვერ იყიდა, ამიტომაც ვერ დაიჭირა მიშა. ახლა ამიტომაც სთხოვს მას პუტინი პასუხს.

***– ვერ დააპატიმრა თუ არ დააპატიმრა?***

– რას ჰქვია არ თუ ვერ. სურვილი ბარემ დიდი ჰქონდა, მაგრამ ვერ დაიჭირა, ვერა. და როგორც გოგია წულაია იტყოდა, მიშა ვერ დაიჭირენ ამ შობელძაღლებმა.

ვერ დაიჭირეს და ახლა პასუხისგებაც მოუწევთ. შიშით გადარეულია ივანიშვილი. გადარეული კი სულელურ ბრძანებებს აძლევს გახარიას, რომელიც მისი ბრძანებების გარეშეც ათას სიგიჟეს სჩადის.

რაც მეტ სიგიჟეს სჩადის ოლიგარქი გახარიას ხელით, მით მეტად აწვება დასავლეთი. იქედან რუსეთიდან განიცდის ზეწოლას. ბევრი რომ არ ვილაპარაკო, ოლიგარქი ალყაშია და სადაცაა გაიჭყლიტება.

***– ჭყლეტაში თუ არის მოყოლილი, რატომ არ მიდის პოლიტიკიდან?***

– ბარემ უნდა წასვლა, მაგრამ ვინ უშვებს. იმდენი საძაგლობა ჩაიდინა საქართველოში, რომ პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში აქ აღარ დაედგომება.

***– სხვაგან წავა, ფულის მეტი რა აქვს.***

– ფული კი აქვს, მაგრამ სად უნდა წავიდეს. რუსეთში ვერ წავა. წავა და პოლონიუმიანი ჩაი არ ასცდება. გაგიჟებული პუტინი მის დასჯას აპირებს. რუსეთის პრეზიდენტი ქართველი ხალხი კი არ არის, ხიხოს გადაგდება აპატიოს.

***– ქართველმა ხალხმა აპატია?***

– აბა არ აპატია? დღემდე ეძებს ერი დაპირებულ 100 ქარხანას და კიდევ იმ 5-5 მილიონს, რომელიც ყველა სოფლისთვის უნდა დაერიგებინათ.

***– კარგი, რუსეთში ვერ მიდის, ამერიკასა და ევროპაში წავიდეს.***

– დასავლეთზე ბოდიში მომითხოვია. იქ დიქტატორებს ხელგაშლილები არ ხვდებიან. იქ მისი ადგილი არ არის.

თქვენი აზრით, მოსამართლემ თავად მიიღო გადაწყვეტილება ნიკა მელიასთვის გირაოს შეფარდების შესახებ? იქ ვიყავი და ჩემი თვალით ვიხილე ყველაფერი. დეპუტატები ნიკას თავდებში ჩაუდგნენ და განცხადებების გაკეთება სურდათ. მოსამართლე ლამის ეხვეწებოდა, განცხადებები არ გააკეთოთო, ერთი სული ჰქონდა, თუ როდის გამოაცხადებდა განაჩენს.

დამიჯერეთ, ივანიშვილი ძალიან ცუდად დაამთავრებს, უფრო ზუსტი იქნება თუ გეტყვით, რომ უკვე დაამთავრა.

ახლა ძალიან მინდა, იმ ხალხის თავებში ჩავიხედო, ვინც მას პოლიტიკურ სამარეში მიჰყვება.

***– პოლიტიკურ სამარეში მას ყოფილი ნაცები მიჰყვებიან.***

– ეგრეა. ნებისმიერის წარსულს გადახედეთ და საინტერესო აღმოჩენებს გააკეთებთ.

ეს გია ვოლსკი და გოგა ხაინდრავა ბევრს რომ ლაპარაკობენ, ხომ არ დაავიწყდათ, მიშას მთავრობაში მინისტრის და მინისტრის მოადგილის სავარძლები რომ ეკავათ.

მაგათ თუ დაავიწყდათ, ჩვენ კარგად გვახსოვს, რა სკანდალში გაეხვია ხაინდრავა მინისტრობისას.

***– ცხინვალში, ჩოჩიევის კაბინეტში მომხდარ ინციდენტს გულისხმობთ?***

– უარესს.

***– მაგაზე უარესი რაღა იყო?***

– იმ დროს, როცა ხაინდრავა მინისტრი იყო, ევროსტრუქტურებმა 2 მილიონამდე თანხა გამოყვეს, რომ ერთობლივი, ქართულ-ოსური საწარმო გახსნილიყო. ევროპელები ვარაუდობდნენ, რომ ეს ქართველებს და ოსებს დააახლოებდა.

ხაინდრავა მართლა დაუახლოვდა კოკოითის კრიმინალურ რეჟიმს და ერთობლივი საწარმოც გახსნეს. რა იწარმოებოდა იმ საწარმოში, აქ არ ვილაპარაკებ. ამაზე გამოძიებამ უნდა დადოს დასკვნა. ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ხაინდრავა მთავრობიდან გააგდეს, ეს ამბავი იყო.

ნაციონალებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, ხაინდრავას საქმე რომ არ გამოიძიეს. გამოსაძიებელია ვოლსკის საქმიანობაც.

ამათი და კიდევ სხვების საქმეები რომ გამოგვეძიებინა, დღეს ქოცებში პორტირებულები ხმის ამოღებას ვერ გაბედავდნენ.

ახლა ხმასაც იღებენ და ამბოხებასაც გვაბრალებენ. ამ ბრალდებებშიც ცოტა აურიეს და ეტყობა, უფროსივით შეშინებულები არიან.

***– კონკრეტულად რა აურიეს?***

– ეგენი სულ ურევდნენ, მაგრამ ახლა სულ გავიდნენ ასტრალში. ერთი ამბობს, ეს დაშლა კი არა, მოგერიება იყოო. მეორე ამბობს, გახარიამ ამ დაშლით სისხლისღვრას აგვაცილაო. მესამე იძახის, გახარია რა შუაშია, სპეცრაზმელებმა თავად დაიწყეს სროლაო.

ამათი სისულელეების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. და ისევ ივანიშვილის შეუსრულებელ მისიას დავუბრუნდები. ოლიგარქი რუს პატრონს დაპირდა, საქართველოს ლანგარზე დადებულს მოგართმევ და ქართველები შენს მზეს დაიფიცებენო. მზეს იფიცებენ კი არა, თბილისის ცენტრში ხალხი „პუტინ ხუილოს“ მღერის.

ამას პუტინი ივანიშვილს არ აპატიებს. ალბათ უკვე ღიად ემუქრება პოლონიუმით. ოლიგარქი ამიტომაც არის ასეთი გამწარებული.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „დღეს პოლიტიკური სამოქალაქო ომია“

## „ოცნება“ პოლიტიკურ დაჭერებზე საზოგადოებრივი აზრის შექმნას და მტკიცე ხელის პოლიტიკის გატარებას ცდილობს“

იაგო ნაცვლიშვილი

20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით პროკურატურამ დაწყებული გამოძიება გადააკვალიფიცირა და საქმის ძიებას სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალების მუხლით აგრძელებს. უკვე დააკავეს 4 პირი, გამოაქვეყნეს ვიდეოც, სადაც ჩანს, როგორ ესხმიან ეს პირები თავს პოლიციას, მაგრამ რამდენად არის ეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, ეს ძალზე ბუნდოვანია.

მოწმე, რომელმაც გამოძიებას ჩვენება მისცა, არაერთ პოლიტიკურ ფიგურას ასახელებს.

– ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** საუბრობს.

***– პროკურატურამ 20 ივნისის ღამის საქმეზე მუხლი სახელმწიფო გადატრიალების მუხლით გადააკვალიფიცირა, ასევე ცნობილია ერთ-ერთი პირის გველოდება თუ არა პოლიტიკური დაჭერები თუ ეს არის პიარზე გათვლილი სტრატეგია ხელისუფლების მხრიდან? ჩვენება, სადაც არაერთ პოლიტიკოსზეა საუბარი. ხომ არ გველოდება წინ პოლიტიკური დაჭერები?***

– ჯერჯერობით მოწმენი ვართ ძირითადად ხმაურიანი განცხადებების. სამწუხარო ის არის, რომ პოლიტიკოსების მხრიდან უფროა ასეთი განცხადებები, ვიდრე სამართალდამცავების მხრიდან.

***– ამ ეტაპზე პიარზეა გათვლილი ეს ყველაფერი?***

– არა, საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე უფრო. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეინარჩუნოს სახე და ამჯერად მტკიცე ხელის პოლიტიკა ანახოს საზოგადოებას. მაგრამ იცით, რაშია საქმე? მთავარი არის ის, რომ როცა ასეთი განცხადება კეთდება გადატრიალების მცდელობის შესახებ, მერე იქნება რთული ამის დამტკიცება სასამართლოზე. ბევრი იხსენებს ჭიკაიძის საბურავების საქმეს, რომელსაც გადატრიალების მცდელობა უწოდეს. ამიტომ, ეჭვით ვუყურებ, რომ რთული განსახორციელებელი იქნება.

***– ვნახეთ პროკურატურის კადრები, სადაც 4 დაკავებული პირი ფიგურირებს. იქ არის პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის და ძალადობის ფაქტები, მაგრამ არის ეს გადატრიალების მცდელობა?***

– პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა ავტომატურად არ ნიშნავს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. ეს სულ სხვადასხვა მოვლენებია და მოდით, ნუ ავურევთ. ელემენტარულად რაც ჰონგ-კონგში ვიხილეთ რამდენიმე დღის წინ, იქაც არ არის ასე იოლი საქმე, სადაც მართლაც შეცვივდნენ და ყველაფერი ჩამოლეწეს, ერთი, რომ პარლამენტის შენობა არ დაანგრიეს, მაგრამ იქაც არ შეფასებულა ეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად.

***– ეს რა პოლიტიკაა, როდესაც ჯერ საქმეს აღძრავენ ამ მუხლით და მერე იწყებენ მტკიცებულებათა შეგროვებას თუ ნაწილობრივ წარდგენას?***



– პოლიციის მიმართ ძალადობა არ ნიშნავს, რომ ამ ხალხს უნდოდა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა. სახელმწიფო გადატრიალებები ასე არ ხდება. დავუშვათ, გავრილოვი იმ სავარძელში რომ არ ჩამჯდარიყო, მაშინ ხომ არაფერი მოხდებოდა?! სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობისას ნებისმიერი ძალა გადაწყვეტილებას ერთ და ორ საათში არ ღებულობს.

სახელმწიფო გადატრიალებას მომზადება სჭირდება, თვეები სჭირდება, დოკუმენტაციები და სულ სხვა მტკიცებულებები სჭირდება. არ ვიცი, შეიძლება პროკურატურას რაღაც მასალები აქვს და შეიძლება ადრეც იყო სამზადისი და ჩვენ არ ვიცით, მაგრამ რაც ჩვენ ვიხილეთ, იქ სახელმწიფო გადატრიალების კვალიფიკაციის მინიჭება და სასამართლოში დამტკიცება იოლი საქმე არ იქნება.

***– აღნიშნეთ, რომ ხელისუფლება საზოგადოებრივ აზრს ამზადებს, რომ ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება. თუ საზოგადოებას ამაში ვერ დაარწმუნებს, არ წავა ამ ნაბიჯზე?***

– წასვლით შეიძლება წავიდეს, მაგრამ 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ და საქართველო არ არის თუნდაც რუსეთი, რომ ბოდიში გამოთქმისთვის და ფეხებზე დაიკიდოს მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრი, თუ გნებავთ, ევროპის აზრი. ასეთი მდგომარეობა არ არის საქართველოში.

***– მელიას ეპიზოდზე მოლოდინი იყო, რომ დააკავებდნენ, თუმცა სასამართლომ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო. ეს იმან ხომ არ განაპირობა, რომ ეს საზოგადოებრივი აზრი ჯერ არ იყო შექმნილი და მოვლენების განვითარებას დაელოდნენ და ამ აზრის ფორმირებას?***

– მე მგონი, საზოგადოებრივ აზრთან ერთად იყო დიპლომატიური კორპუსის აქტიურობა. საქართველოში დიპლომატიური კორპუსი ძალზე აქტიურია. ზოგ შემთხვევებში ზღვარზეა, როდესაც აკრედიტებული საელჩოების განცხადებები არის ზღვარზე.

***– მათ შორის აშშ-ის საელჩოს ის ცნობილი განცხადებაც გაქვთ მხედველობაში, რომელიც მან მელიას პროცესის წინ გაავრცელა?***

– არა მხოლოდ ამერიკის. შეიძლება ძირითადად შტატების, მაგრამ სხვა საელჩოებისაც. ესეც არ მომწონს, იმიტომ, რომ ეს ეხება ქვეყნის სუვერენიტეტს.

***– თუმცა თუ თვითონ ვერ ხვდება ხელისუფლება, ვიღაცამ ხომ უნდა უკარნახოს?***

– ამას თვითონ რომ ვერ ხვდება, ეს არის ცუდი. ყველაფერი ეს ერთად აღებული კიდევ უფრო ართულებს მთავარ პრობლემას, საზოგადოების მხრიდან სამართალდამცავი უწყებების მიმართ ნდობას. რომ ავიღოთ იგივე მაჩალიკაშვილის საქმე, იგივე სარალიძის და სხვა საქმეებიც, ეს მიგვანიშნებს, რომ მართლმსაჯულების მიმართ ნდობა დაბალია, რაც ძალიან ცუდია. შეიძლება უსამართლოც კი იყოს ზოგჯერ, მაგრამ ნდობა რომ არ არის, ეს ფაქტია და ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს კიდეც.

***– თუ საზოგადოებრივ აზრს ვერ შექმნიან და მაინც დააკავებენ პოლიტიკურ ლიდერებს, ეს უკუშედეგს ხომ არ გამოიღებს „ქართული ოცნებისთვის“?***

– ხანგრძლივ გათვლაში ბუმერანგის ეფექტი ექნება. ნუ დავივიწყებთ, რომ 1 წელიწადში არჩევნებია, თანაც ახალი მოდელი – პროპორციულზე გადასვლა, სადაც ბევრი უპასუხო კითხვაა. მხედველობაში მაქვს ნულოვანი ბარიერი. ერთი შეხედვით, მიმზიდველია ეს ყველაფერი, მაგრამ ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებულია ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. იგივე ლარის კურსი, ფასების ზრდა და ა. შ. ზრდის პასიურ უკმაყოფილებას ხელისუფლების მიმართ.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მელია მართლა დამნაშავეა და მართლა გადატრიალების მცდელობა იყო, ეს უნდობლობის ფონი ართულებს ყველაფერს ამას. ამიტომ, სუპერ დამაჯერებელი უნდა იყოს როგორც პროკურატურის მტკიცებულებები, ისე სასამართლოს ვერდიქტი.

პირდაპირ ვთქვათ, სოციალური თვალსაზრისით კატასტროფული მდგომარეობაა. რაც არ უნდა გვიმტკიცოს ეროვნული ბანკის მმართველმა, რომ ლარის გაუფასურება დროებითია და იმ კვირას სულ სხვა მდგომარეობა იქნება, ხომ ვიცით, რაც ხდება. ამ პირობებში სამართლიანიც რომ იყოს, ეს არაადეკვატურად აღიქმება საზოგადოებაში.

ერთი და იგივე მოვლენაზე, 20 ივნისის მოვლენებზე, „იმედის“ ეთერში მიიჩნევენ, რომ გახარია არ უნდა გადადგეს და პოლიცია სწორად მოქმედებდა, მაგრამ „რუსთავი 2“-ის და „ტვ პირველის“ ეთერში 90% არასწორად მოქმედებდა და გახარია უნდა გადადგეს. ეს ძალიან საშიში ნიშანია.

***– პოლარიზების ნიშანია?***

– კი, პოლარიზაციის ნიშანია. როცა 2 ტელევიზიაში, პროსახელისუფლებო და ოპოზიციურ ტელევიზიაში ერთ გამოკითხვაში დადებითად ფასდება გახარიას მოქმედება და მეორე ტელევიზიაში 80% ცუდად აფასებს, ეს ნიშნავს, რომ პოლარიზაციაა.

ყველა გამოცემას თავისი მკითხველი ჰყავს და ყველა ტელევიზიას თავისი მაყურებელი. ეს ხდება ერთ ციცქნა ქვეყანაში. ამერიკაში დემოკრატებს თავისი მომხრე ჰყავს, რესპუბლიკელებსა და ტრამპს თავისი და ეს კატასტროფა არ არის, პირიქით, იქ დემოკრატიას უწყობს ხელს, მაგრამ ხშირად ისეთი მომენტები, რაც დემოკრატიას უწყობს ხელს დიდ, მდიდარ, ძლიერ ქვეყანაში, კატასტროფულია პატარა, ღარიბ, სუსტ ქვეყანაში. ხომ გეუბნებით, „იმედი“ ჩავრთე და პოლიცია კარგად იქცეოდა, ასეთი პათოსი იყო.

ხომ გახსოვთ, „ყველა დასაჭერია, ყველა დასახვრეტია“, ასეთი რაღაც რომ იყო... ამ დროს „რუსთავი 2“-ზე და „ტვ პირველზე“ სხვა ხმა ისმის.

ასეთი ძლიერი პოლარიზაციაა, პრაქტიკულად ჩვენთან სამოქალაქო ომი მიმდინარეობს, ამ ტერმინს ყველა გაურბის, მაგრამ დღეს უკვე არის ნიშნები პოლიტიკური სამოქალაქო ომის თვალსაზრისით.

ამიტომ, ხელისუფლებამ ეს ფაქტორიც უნდა გაითვალისწინოს მტყუან-მართლის გარჩევისას 20 ივნისის ღამის მოვლენებთან დაკავშირებით.

# ლევან ხაბეიშვილი: „ოცნების“ დეპუტატებს რუსეთთან აქვთ კავშირი“

შორენა მარსაგიშვილი



ანტისაოკუპაციო მიტინგებზე გადართულმა ლევან ხაბეიშვილმა „ოცნებისთვისაც“ მოიცალა. საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატმა მეოცნებე კოლეგებს რუსული კავშირები ამოუქექა, რითაც მმართველი პარტია ძალიან გააბრაზა.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ „ოცნების“ დეპუტატ შალვა ოგბაიძეს რუსულ ბიზნესთან კავშირი ჰქონდეს.

მისი თქმით, ოგბაიძეს თავის დეიდაშვილთან ერთად რუსეთიდან საქართველოში ავტომობილები ჩამოჰყავს. საუბარია „ნივის“ მარკის ავტომობილებზე.

დეპუტატი ამბობს, რომ სახელმწიფოს მათგან საერთო ჯამში, მილიონ 900 ათასი ლარის ღირებულების ნივა აქვს შეძენილი.

ოგბაიძის გარდა ხაბეიშვილმა რუსეთთან ბიზნეს-კავშირში დედაქალაქის საკრებულოს კიდევ ერთ დეპუტატი თამარ ტალიაშვილი ამხილა.

– თამარ ტალიაშვილს და მის მეუღლეს ასიათასობით ლარი აქვთ რუსულ ბანკებში. ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებამ იცოდეს, რომ „ალფა ბანკი“ არის ბანკი, რომელმაც დაარღვია ოკუპაციის შესახებ კანონი და აფხაზეთში, კერძოდ, გაგრასა და სოხუმში აქვს ფილიალები.

თამარ ტალიაშვილის გარდა, რუსულ ბიზნესთან შესაძლოა კავშირი ჰქონდეს შალვა ოგბაიძეს, რომელსაც მის დეიდაშვილთან ერთად რუსეთიდან სახელმწიფოსთვის ჩამოჰყავს ნივები და ჯამში, სახელმწიფომ 2 მილიონ 900 ათასი ლარის ნივა შეიძინა შალვა ოგბაიძის დეიდაშვილის კომპანიისგან, გარდა იმისა, რომ ის შალვა ოგბაიძის დეიდაშვილია, ისინი იყვნენ ბიზნესპარტნიორები, – აღნიშნა ლევან ხაბეიშვილმა.

ხაბეიშვილის განცხადებას „ოცნებაში“ დიდი წიოკი მოჰყვა. გავრილოვის ჩამოსვლის შემდეგ მათ ცოტა ამოისუნთქეს – ხაბეიშვილი აქციებზე დარბოდა და მათი საიდუმლოებების ამოსაქექად აღარ სცალოდა.

თუმცა მათმა სიხარულმა დიდხანს არ გასტანა და ოპოზიციონერმა მათთვისაც მოიცალა. მმართველი პარტიაც თავდაცვის და ოპოზიციონერის გმობის რეჟიმზე გადავიდა.

და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ხაბეიშვილს ნაციონალების წარსული წამოაძახეს. არადა ეს წამომძახებლები იყვნენ სწორედ ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნები.





საკრებულოს დეპუტატი ირაკლი ზარქუა მიიჩნევს, რომ ხაბეიშვილი „ოცნების“ რუსულ კავშირებზე არ უნდა საუბრობდეს. მისი განცხადებით, სწორედ წინა ხელისუფლებამ ჩააბარა სტრატეგიული ობიექტები რუსეთს.

– შეგახსენებთ, წინა ხელისუფლებამ „თელასი“ რუსებს ჩააბარა, წყალკანალშიც ასევე მოიქცნენ. 2003 წლის შემდეგ ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირდება ,,ხრამ 1“ ,,ხრამ 2“ და ჩუბაისი. ჩვენი ოპონენტები საკუთარი შეცდომების გადმობრალების პრინციპს იყენებენ, თუმცა თავის მართლების რეჟიმში ვერ ჩაგვაყენებენ, – განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, თამარ ტალიაშვილი ევროსაბჭოში არჩეული ვიცე-პრეზიდენტია და რამდენიმე დღის წინ, ევროსაბჭოში ყირიმის შესახებ განცხადება გააკეთა, რომლის საფუძველზეც რუსეთი იძულებული გახდა შესწორებები შეეტანა.

ზარქუამ ოგბაიძის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას აბსურდული უწოდა და დამატებითი განმარტებები მოითხოვა.

– კეთილი ინებოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მოიკითხონ, საკუთარი ბელადი მიხეილ სააკაშვილი, სად და როგორ მოღვაწეობდა, ასევე გრიგოლ ვაშაძეზეც მოიძიონ ინფორმაცია, რომელიც რუსულ ინტერესებს ემსახურება, – აღნიშნა ირაკლი ზარქუამ.

მეოცნებე ამტკიცებს, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრებს რუსული ინტერესებისთვის არასოდეს უმსახურიათ.

# სალომე სამადაშვილი: „გახარიას ზურგს მოსკოვი უმაგრებს“

**ნათია ხურცილავა**



ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი **სალომე სამადაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ქალბატონო სალომე, 20 ივნისის მოვლენებიდან 2 კვირის თავზე ხელისუფლება სახელმწიფო გადატრიალებაზე საუბრობს. ანრი ოხანაშვილი აცხადებს, რომ მშვიდობიანი აქციის გამოყენება მოხდა ოპოზიციის ლიდერების მიერ კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ. რას უპასუხებთ?***

— ხელისუფლების ამ მცდელობას ორი მიზეზი აქვს: პირველ რიგში, პასუხისმგებლობა აარიდოს შინაგან საქმეთა მინისტრ გახარიას, რომლის გადადგომასაც უკვე ორი კვირაა, ხალხი ითხოვს. როგორც ჩანს, ივანიშვილი გახარიას გადაყენებას არ აპირებს და სწორედ ასეთი ვერსიებით ცდილობს ყურადღების გადატანას სხვა თემებზე.

მეორე, ასეთი ბრალდებით ხელისუფლება ცდილობს ოპოზიციის შევიწროებას, მის დისკრედიტაციას.

ფაქტია, რომ მმართველ პარტიას, „ქართულ ოცნებას“ საპრეზიდენტო არჩევნებში ძალიან დიდი დარტყმა მიაყენა ოპოზიციამ. ხელისუფლების რეიტინგი არ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს და ეს კარგად გამოჩნდა საპრეზიდენტო არჩევნებში. ამიტომ ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ ოპოზიციის დისკრედიტება მოახდინოს და გაანეიტრალოს. მე სხვა ახსნას ვერ ვუძებნი იმ ყველაფერს, რასაც ვისმენთ. ეს არის შეთითხნილი ვერსია სწორედ ამ მიზეზებიდან გამომდინარე.

სხვა რა უნდა იყოს, როდესაც ნიკა მელია, პოლიტიკოსი, პარლამენტის დეპუტატი, რომლის პირდაპირი მოვალეობაც ადამიანებთან შეხვედრებია, ამომრჩევლის დარწმუნებაა, მისი პოზიციის დაფიქსირება, პირდაპირ გააჩერა და შინაპატიმრობაში ჰყავს.

***— გამოდის, გახარიას არ გადააყენებენ?***

— სიმართლე გითხრათ, მეგონა, ივანიშვილი აქამდეც გადააყენებდა გახარიას, რადგან ეს იქნებოდა სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება, თუ „ქართულ ოცნებას“ სურდა სახის შენარჩუნება, მაგრამ, როგორც ჩანს, არა მხოლოდ ვერ ელევა, არამედ გახარიას ბევრად უფრო დიდი გარანტიები აქვს, ვიდრე ივანიშვილია. სავარაუდოდ, ზურგს მოსკოვი უმაგრებს.

მე ვიცი, რომ „ქართული ოცნების“ შიგნითაც ბევრს მიაჩნია, რომ გახარია უნდა გადამდგარიყო, მაგრამ ფაქტია, რომ მას ხელს ვერ ჰკიდებენ.

***— ქალბატონო სალომე, ეს ძალიან საშიში ვერსიაა. თქვენ რამდენად უშვებთ, რომ სუვერენული სახელმწიფოს ძალიან მაღალი თანამდებობის პირი სხვა ქვეყნის მიერ ასეთ დონეზე იყოს მხარდაჭერილი?***

— გახარიას ცხოვრება და მთელი კარიერა უკავშირდება მოსკოვს. ამ ადამიანს არ ჰქონია არსად სხვაგან კარიერა. თუნდაც მისი ბიზნესსაქმიანობა პირდაპირ რუსეთთან არის კავშირში. ამ ადამიანის ბიოგრაფია და გამოცდილება მაფიქრებინებს, რომ მას ძალიან სერიოზული კავშირები აქვს მოსკოვთან.

შეუძლებელია, გახარიას წარსულს, მის ბიოგრაფიას გადახედო და არ იფიქრო, რომ მას შესაბამისი კავშირები არ აქვს რუსეთთან, თან რუსეთის მიზანიც ხომ ეს იყო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომ მათთვის კონტროლირებადი პირისთვის ჩაებარებინათ ეს სფერო.

***— კულტურისა და განათლების მინისტრის მოადგილე მიხეილ გიორგაძე თანამდებობიდან გადადგა. იზიარებთ იმ ვერსიას, რომ ის გაუშვეს, რადგან კულტურის სფერო რუსთაველზე დგას, როგორც ოპოზიცია ამბობს?***

— ამ შემთხვევაშიც ორი ვერსია შეიძლება იყოს განხილული.

მართლაც, რუსთაველის გამზირზე იკრიბება საზოგადოება. სრული მობილიზებაა. ყველა თაობის, ყველა სფეროს წარმომადგენელი თავის პოზიციას ღიად აფიქსირებს. მათ შორის, რასაკვირველია, კულტურის სფეროს წარმომადგენლები. ეს ადამიანები სრულიად ღიად და ცალსახად აპროტესტებენ 20 ივნისის მოვლენებს. რთულად წარმოსადგენია, 20 ივნისის შემდეგ კულტურის მოღვაწეებმა ივანიშვილის პოზიცია დაიცვან. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო გიორგაძე, უბრალოდ, გაუშვეს.

არის მეორე ვერსია: მე არ გამოვრიცხავ, რომ მიხეილ გიორგაძე კარგად აცნობიერებს, რაც ხდება, რაც ემართება ივანიშვილის გემს და, უბრალოდ, მან გემის ჩაძირვას დაასწრო.

***— და მართლაც თავად გადადგა?***

— დიახ, სწორედ ამ მოტივაციით ან, შეიძლება, ერთი მხრივ, გამოაშკარავდა, ნიღაბი ჩამოეხსნა რუსეთთან კავშირებს და, მეორე მხრივ, დაანონსდა ოპოზიციის ლიდერების დევნა, რის გამოც ძალიან რთულ პოლიტიკურ სპირალში შევდივართ და გიორგაძეს არ უნდა, ამ ყველაფრის თანამონაწილე იყოს.

## დავით ჭიჭინაძე: „ამბოხი არ შეიძლება გახადო დასაცინი საქმე“



„ქართული ოცნება“ პროვოკატორს ემსგავსება — ეს განცხადება, დამოუკიდებელმა დეპუტატმა, მმართველი გუნდიდან გარიცხულმა დავით ჭიჭინაძემ გააკეთა.

ჭიჭინაძე პროკურატურის მიერ 20-21 ივნისის ღამესთან დაკავშირებით სახელმწიფო გადატრიალების მუხლით საქმის აღძვრას გამოეხმაურა.

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი ამბობს, რომ გადატრიალების ბრალდება დასაცინია.

— ასეთი სცენარების დაწერა არ მგონია „ქართულ ოცნებას“ სიკეთეს მოუტანს, ყველაფრის პაროდირება არ შეიძლება. ამბოხი არ შეიძლება გახადო დასაცინი საქმე. ამბოხის ხალხს უნდა სჯეროდეს და როცა ასეთ ვერსიებს ავრცელებს, ვფიქრობ, დასაცინს გახდი. ღმერთმა დაიფაროს და ამ ქვეყანაში ვილაცამ მართლა რომ გადაწყვიტოს ეგეთი რამ, არავინ აღარავის არაფერს დაუჯერებს.

მახსოვს ყოველი არჩევნების წინ განცხადებები, რომ ქვეყანაში რევოლუციაა, გადატრიალებაა, ეს მზადდებოდა, ამას ხელს უწყობდა სააკაშვილის განცხადებები, მაგრამ მე მაშინ უმრავლესობის წევრი ვიყავი, ბევრი კითხვა არსებობდა და არასოდეს პასუხები არ იყო ვინ გეგმავდა და რას გეგმავდა, ვფიქრობ, ჯობს გამოვიდეს „ქართული ოცნება“ ამ ილუზიიდან, ნუ ემსგავსებიან პროვოკატორებს, — ამბობს ჭიჭინაძე.

## „ეკონომისტი“: ივანიშვილი, რომელიც თავს სააკაშვილის ტირანიისგან გადამრჩენლად წარმოაჩენს, ახლა საყოველთაო ზიზღით სარგებლობს



ივანიშვილი, რომელიც თავს სააკაშვილის ტირანიისგან გადამრჩენლად წარმოაჩენს, ახლა საყოველთაო ზიზღით სარგებლობს — ამ შინაარსის სტატიას „ეკონომისტი“ აქვეყნებს. გავლენიანი ბრიტანული გამოცემის გვერდზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში შეფასებულია საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები და ყურადღება გამახვილებულია 20 ივნისის სისხლიან ღამეზეც.

— გასული ორი კვირის განმავლობაში „ქართული ოცნება“ კოშმარად იქცა. ბატონი გავრილოვის პარლამენტის სპიკერის სკამზე ნახვამ ქართველების პროტესტი გამოიწვია, — წერს ავტორი.

ავტორი მიიჩნევს, რომ აქციაზე მომხდარი ძალადობის გამო ხელისუფლებამ ლეგიტიმურობა დაკარგა.

— ბატონი ივანიშვილი, რომელიც საკუთარ თავს სააკაშვილის ტირანიისგან გადამრჩენლად წარმოაჩენს, ახლა საყოველთაო ზიზღით სარგებლობს, — წერია სტატიაში.

პუბლიკაციაში ასევე წერია, რომ შვიდი წლის წინ ოლიგარქის ოცნება ახდა. ბიძინა ივანიშვილმა, ჩრდილოვანმა ქართველმა მაგნატმა, რომელმაც ფული რუსეთში იშოვა, მშობლიურ ქვეყანაზე კონტროლი დაამყარა.

მიხეილ სააკაშვილი, პროდასავლური მოდერნიზატორი, რომელსაც ოდესღაც ივანიშვილის მხარდაჭერა ჰქონდა, გაძევებული იყო ხელისუფლებიდან და ქვეყნიდან.

სტატიის ავტორი ანაკლიის პორტზეც ამახვილებს ყურადღებას. „ივანიშვილმა ცოტა ხნის წინ სცადა ძირი გამოეთხარა ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის გეგმისთვის, რომელიც საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე სტრატეგიულ პროექტს წარმოადგენს და რომელსაც მხარს უჭერდა ამერიკა და ევროპა. კრემლმა ის დააჯილდოვა პროპაგანდის შემცირებითა და ქართული პროდუქციისთვის ბაზრის გახსნით.

ბატონი ივანიშვილი ცდილობდა დაემშვიდებინა რუსეთი ანაკლიის გეგმის პროექტში ჩინეთის ჩართულობის მხარდაჭერით და ამერიკის მიერ მხარდაჭერილ ქართველ ფინანსისტებზე თავდასხმით, მაგრამ ამან, თავის მხრივ, შეაშფოთა ამერიკელები, — წერს სტატიის ავტორი.

## მიხეილ გიორგაძე: „ჩემი გადადგომა არც ერთ კონკრეტულ მოვლენას არ უკავშირდება“

ჩემი გადადგომა არც ერთ კონკრეტულ მოვლენა არ უკავშირდება — აცხადებს კულტურის მინისტრის, ყოფილი მოადგილე მიხეილ გიორგაძე. გიორგაძის თქმით, მან სოციალური ქსელით ნათლად ჩამოაყალიბა თანამდებობის დატოვების მიზეზი.

— დარწმუნებული ვარ, დროში დამთხვევებთან გარკვეული სპეკულაცია ამა თუ იმ თემით მოხდება. სრული პასუხისმგებლობით მინდა დაგარწმუნოთ, რომ ბოლო პერიოდში ეს არც ერთ კონკრეტულ მოვლენას არ უკავშირდება. არც არავის დასასჯელად, არც არაფრის დასახურად ან შესაზღუდად, ეს არ მომხდარა. მგონია, რომ კონკრეტული ადამიანებისგან შეიძლება საჯარო როგორც ბრალდებების, ისე საჯარო ბოდიშის მოლოდინი მქონდეს.

ამასთან, ჟურნალისტებმა მიხეილ გიორგაძეს საყდრისის საკითხზეც ჰკითხეს, როგორც მინისტრის ყოფილმა მოადგილემ აღნიშნა, სამეცნიერო დაპირისპირების მიუხედავად, რეგიონში სოციალური ფონის გათვალისწინებით და ობიექტური გარემოებების მიხედვით, იმ დროს ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღო.

— შესაძლოა, იდეალური და ყველა მხარისთვის მისაღები ეს გადაწყვეტილება არ ყოფილიყო, მაგრამ ის, რომ იმ დროს, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, იყო ერთმნიშვნელოვნად სამართლიანი და ოპტიმალური, ეს ერთმნიშვნელოვანი იყო და დღესაც ასე ვფიქრობ, — განაცხადა გიორგაძემ.



მიხეილ გიორგაძემ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა დღეს დატოვა. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“, საკუთარ გვერდზე დაწერა, სადაც ასევე აღნიშნავს, რომ კერძო სექტორში ბრუნდება.

## ხოშტარია; „რასაც ხელისუფლება ახორციელებს, გამოძიება კი არა, ორმაგი სტანდარტია“



რასაც ხელისუფლება ახორციელებს, გამოძიება კი არა, ორმაგი სტანდარტია, — ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა, დეპუტატმა ელენე ხოშტარიამ 20-21 ივნისის აქციების დროს ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ბრალდებით ოთხი პირის დაკავებაზე საუბრისას განაცხადა.

— ვხედავთ, რომ ხელისუფლება საზოგადოების სამართლიანი პროტესტის მეთხუთმეტე დღეს, არც ერთ პოლიციელს არ სჯის. ამ პოლიციელების მიმართ რამე ჰიპოთეტური ბრალდებები კი არ არის, კადრები არის ხელაწეულ ადამიანებზე თავდასხმა, ფარეხიდან ადამიანების გადმოგდება, დათხრილი თვალები და ა.შ. ამაზე არანაირი რეაგირება არ არის. ვილაცას უფლებამოსილება შეუჩერეს, მაგრამ გახარია კიდევ მინისტრია. გამოძიება ის არ არის, რაც მათ ქნეს, ეს არის ორმაგი სტანდარტი, პლუს არის ფარისევლობა, როცა ამბობენ, რომ პოლიციაზე თავდასხმას ვერ აიტანენ. ჩვენ გვაქვს შვიდი წლის განმავლობაში არაერთი შემთხვევა, როცა პოლიციაზე იყო თავდასხმა „ქართული ოცნების“ აქტივისტების მხრიდან კორცხელიდან დაწყებული, ვასაძის ქმედებები და ა.შ. მაგრამ არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, ეს არის შერჩევითი სამართალი, — განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

## კალაძე: „ბიზნესი რუსეთში პრობლემას არ წარმოადგენს“

ბიზნესი რუსეთში პრობლემას არ წარმოადგენს — კალაძე „ოცნების“ დეპუტატებისადმი გამოთქმულ ბრალდებებს პასუხობს.

საქმე ეხება მმართველი გუნდის წევრების რუსულ კავშირებს, რითაც გამომძიებელი ჟურნალისტები და საკრებულოს ოპოზიცია ინტერესდებიან.

კალაძე ამბობს, რომ ის რუსეთში ბიზნესის წარმოებასა თუ უძრავი ქონების ქონაში, პრობლემას ვერ ხედავს.



— როდესაც ისეთი მსხვილი რუსული კომპანიები, მაგალითად, ენერგეტიკაში, დღეს არიან საქართველოში, აწარმოებენ სხვადასხვა მიმართულებით თავიანთ საქმიანობას, ხომ ვიცით, ეს როდის მოხდა, რომელ წლებში განხორციელდა. ასე რომ, თუ ვილაცას, რაღაც ბინა აქვს რუსეთში, არ მგონია, ეს რაიმე პრობლემას წარმოადგენდეს ნამდვილად. თუ გინდათ, ბიზნესიც ჰქონდეს, მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, ბიზნესის განხორციელებას გინდ რუსეთში, გინდ რუსი ინვესტორების საქართველოში, ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, — განაცხადა კალაძემ.

ირკვევა, რომ საკრებულოს დეპუტატი თამარ ტალიაშვილი სოლიდურ დანაზოგს იმ რუსულ ბანკში ინახავს, რომელიც წლებია არღვევს ოკუპაციის შესახებ კანონს და აფხაზეთში სამართალდარღვევით ოპერირებს. ასევე, რუსულ ბიზნესთან, სავარაუდოდ, კავშირი აქვს შალვა ოგბაიძეს.

# რუსი დეპუტატი აკაკი ბობოხიძის საქმის გამოძიებას მოითხოვს

## გამოეხმაურებიან თუ არა ლიეტუვის მინისტრის მოწოდებას საქართველოს შესახებ ლიეტუველები

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოს საზოგადოების ყურადღება ფოკუსირებულია ბრალდებებზე სახელმწიფო გადატრიალების შესახებ და მასში ოპოზიციონერების მონაწილეობაზე. აღმოჩნდა, რომ 20 ივნისის თბილისურ ამბებს ოკუპანტ სახელმწიფოშიც იკვლევენ.

საუბარია საქართველოს პარლამენტის წევრის, ევროპული საქართველოს წარმომადგენლის აკაკი ბობოხიძის რეპლიკებზე.

იმ დროს, როცა ბობოხიძის პარტიელები სხვებთან ერთად პარლამენტის სხდომათა დარბაზში გმობდნენ სახელმწიფო დუმის დეპუტატის, მართლმადიდებლობის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ გავრილოვის დაჯდომას პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში, აკაკი ბობოხიძემ შესძახა, რომ ხოცავდა და დახოცავს რუსებს.

მას მხედველობაში ჰქონდა საქართველო-რუსეთის 1992-93 წლების აფხაზეთის ომში მონაწილეობა.

აკაკი ბობოხიძის რეპლიკის გამოძიების წინადადებით რუსეთის საგამოძიებო კომიტეტს მიმართა სახელმწიფო დუმის დეპუტატმა ნიკოლაი ზემცოვმა.

— გთხოვთ, რეპლიკა ჩათვალოთ აღიარებად და მონაწილეობად რუსეთის მოქალაქეების მკვლელობაში საქართველო-აფხაზეთის ომის დროს 1992-93 წლებში. მოგიწოდებთ, შეამოწმოთ, მონაწილეობდა თუ არა იგი ჩვენი მოქალაქეების მკვლელობაში. მან გამომძიებლებს უნდა განუმარტოს, როგორ ხოცავდა ჩვენს მოქალაქეებს — სამხედრო კონფლიქტის დროს თუ ეს იყო ორგანიზებული დანაშაული, — მიმართა საგამოძიებო კომიტეტს გავრილოვის კოლეგამ.

ოკუპირებული ტერიტორიების ხსენება და 90-იანი წლების მოგონება საქართველოსთან მიმართებით რუსეთში ძალიან აღიზიანებთ. რუსული პროპაგანდის თანახმად, 1992-93 წლების მოვლენები ქართულ-აფხაზური ომი იყო. რუსეთს ამასთან და ცხინვალის მოვლენებთან კავშირი არ აქვს. ამ მიზეზით რუსეთიდან გაისმის დიალოგისკენ მოწოდება თბილისსა და სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს შორის. რუსეთის აზრით, თუ ოფიციალური თბილისი აფხაზებისა და ოსების რეჟიმებს დაელაპარაკება, ამით დადასტურდება, რომ რუსეთი არაფერ შუაშია, აფხაზები და ოსები კი ისეთივე მხარედ დაფიქსირდებიან, როგორც ქართველები.

რუსეთის პროპაგანდისტები ამ ომს დღევანდელ მოვლენებთან დაკავშირებით იხსენებენ. მათი მტკიცებით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოში ფეტიშად იქცა. პროპაგანდისტები სერიოზულად ირწმუნებიან, რომ ქართველებს ადამიანს მიწა ურჩევნიათ, რუსეთისთვის კი უპირველესია ადამიანები და მათი უფლებები.

რუსეთში პუტინის მიერ საქართველოს წინააღმდეგ შემოღებულ ტურისტულ ემბარგოს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს — საქართველოში წამოსასვლელად გამზადებული ხალხი და ის რუსები, რომლებიც თბილისში 20 ივნისის შემდგომ პერიოდში მოხვდნენ. ჩამოსულები აღიარებენ, რომ რუსებს არავინ ერჩის. მათთვის პუტინის ემბარგო დისკომფორტის შემქმნელია. ტურისტების ჩივილი ამაზეა, პუტინის პოლიტიკას საქართველოს მიმართ კი არავინ აკრიტიკებს.

დროის ამ მონაკვეთში თბილისში იმყოფებოდა და საქართველოს პარლამენტის შენობის ფონზე სურათი გადაიღო რუსმა პრანკერმა ლექსუსმა (ალექსეი სტოლიაროვმა) მაისურზე „რაშა თუდეის“ ლოგოთი. თუ ეს მონტაჟი არ არის, მაშინ პრანკერი გამომწვევად მოიქცა, ვინაიდან ეს არხი მთელ დასავლეთში მიჩნეულია კრემლის ერთ-ერთ მთავარ პროპაგანდისტად.

კრემლის ექსპერტები აცხადებენ, რომ საქართველოს 20 ივნისის შემდეგ რუსეთისგან საკადრისად მიეზღო. მათი აზრით, ქართველები რუსოფობიისათვის უნდა დაისაჯონ. მათი აზრით, მოსკოვში ამაზე პასუხი მოეთხოვებათ გადაწყვეტილებების მიმღებებს, რომლებსაც გამოეპარათ ქართველების ახალი თაობა, რომელიც რუსეთს არ იცნობს.

რუსეთში გავრცელებული მოსაზრებით, რუსეთის სანქციები და რუსი ტურისტების შემცირება საქართველოს წელში გადატეხს.

საქართველოს ბევრმა მეგობარმა მოუწოდა თავის მოქალაქეებს, ტურისტებად ეწვიონ საქართველოს. წესით, ამაზე საქართველოს თვითონ ადრევე უნდა ეზრუნა. ასე რომ ყოფილიყო,



ქვეყნის შემოსავლები არ იქნებოდა დამოკიდებული პუტინის ქეიფსა და უქეიფობაზე და შუა ზაფხულში ტურისტული ჩიხი არ შეიქმნებოდა.

ერთ-ერთი მეგობარი, რომელმაც საქართველოს დახმარების ხელი გაუწოდა, ლიეტუვის საგარეო მინისტრი ლინას ლინკიავიჩუსია. მისი თქმით, რუსეთმა საქართველოს ეკონომიკური ომი გამოუცხადა. ამიტომ ლიეტუველები საქართველოში უნდა ჩავიდნენ.

ლინკიავიჩუსის აზრით, საქართველო პარადოქსების ქვეყანაა — ქართველები ერთიანი არიან მხოლოდ ზოგიერთ საკითხში, მაგალითად, ნატოსა და ევროპის მიმართ დამოკიდებულებაში. სხვა საკითხებში ისინი ვერ თანხმდებიან.

ლიეტუველი მინისტრი რომ უფრო ჩახედული იყოს, ეცოდინებოდა, რომ საქართველოში ნატოს საკითხშიც არ ჩანს ერთსულოვნება. თბილისში გრძელდება შეკრებები, რომლებზეც ერთ-ერთი მოთხოვნა ქვეყნის ნეიტრალიტეტი, ანუ სამხედრო მიუმხრობლობაა.

რუსეთზე ჩამოკიდებული „ქართული ოცნება“ ამას მშვიდად და კეთილგანწყობით უყურებს.

## მამუკა არეშიძე: „დავითგარეჯის თემა პოლიტიკურ დონეზე უნდა დაკონსერვდეს“



დავითგარეჯის თემა პოლიტიკურ დონეზე უნდა დაკონსერვდეს, სხვა შემთხვევაში, კონფრონტაციას ექნება ადგილი ორ ქვეყანას შორის, — ეს განცხადება „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ექსპერტმა მამუკა არეშიძემ გააკეთა. მისივე თქმით, აზერბაიჯანული მხარის „გაჯიუტებას“ თავისი პოლიტიკური სარჩული აქვს.

— შევიდა თუ არა ჩიხში მოლაპარაკებები?! — მე არაფრის გამორიცხვა არ შემიძლია, რადგან ეს ყველაფერი მხოლოდ ქართულ მხარეზე არ არის დამოკიდებული. ქართული მხარე ან უნდა შევიდეს აზერბაიჯანთან კონფრონტაციის რეჟიმში, ან რაღაც რაღაცაში უნდა გაიცვალოს. ამ მიმართულებით ქართული მხარის აქტიურობა საჭიროა, მაგრამ საჭიროა იმის ცოდნა რატომ ხდება აზერბაიჯანის მხრიდან ასეთი სიჯიუტე. მიზეზი ისაა, რომ აზერბაიჯანული მხარე თვლის, რომ ეს მათთვის წამგებიანია, რადგან მაშინ მათ დოქტრინას, რაც გულისხმობს, რომ ყველა ქრისტიანული ძეგლი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არის ალბანური წარმომავლობის, წყალი შეუდგება. პირველ რიგში, ეს მათთვის წამგებიანი იქნება ყარაბახის თემასთან დაკავშირებით, რადგან აზერბაიჯანელები აგერესიულად აყენებენ საკითხს, რომ ყარაბახის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა ქრისტიანული ძეგლი არის ალბანური. სომხები კი პირიქით ამბობენ, რომ ძეგლები ყარაბახში სომხურია. აზერბაიჯანული მხარის აზრით, საკმარისია დათმონ მცირე ნაწილი დავითგარეჯის მონაკვეთიდან, სომხეთს მიეცემა დამატებითი არგუმენტები, — განაცხადა მამუკა არეშიძემ.

ექსპერტი პოლიტიკოსებს ორ რჩევას აძლევს, კერძოდ, გაააქტიურონ ტერიტორიების გაცვლის საკითხი ან პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე და პირადად ბიძინა ივანიშვილი ჩაერთონ აზერბაიჯანთან მოლაპარაკებაში, რომ დავითგარეჯის სადავო ტერიტორიის გარკვევის საკითხი დროებით დაკონსერვდეს.

## რუსი ოპოზიციონერი: „რუსეთის ხელისუფლებას იმპერიის აღდგენა სურს“

— მე არ განვიხილავ საქართველოს, როგორც საკუთარი ქვეყნის ნაწილს, როგორც საკუთარი სამშობლოს ნაწილს ან როგორც რაღაც იმპერიის ნაწილს, — ამის შესახებ პარტია „იაბლოკოს“ თავმჯდომარის მოადგილემ, ალექსანდრ გნეზდილოვმა, „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „დღის თემა“ განაცხადა. მისი თქმით, რუსეთის ხელისუფლებას სურს იმპერიის აღდგენა.

— თუ მათ გულწრფელობას დავუჯერებთ, მათ სურთ იმპერიის აღდგენა, გავლენის აღდგენა და დასავლეთთან რევანშის აღება, საქართველოსა და უკრაინას კი განიხილავენ, როგორც გარკვეულ ტერიტორიას რუსეთსა და დასავლეთს შორის ბრძოლისთვის. ტელევიზორში არაერთხელ მომისმენია, ჩემი აზრით, საქართველოსა და უკრაინისთვის შეურაცხმყოფელი საუბრები. შეურაცხმყოფელი არა პირდაპირ, არამედ ირიბად, იმ გაგებით, რომ თავად უკრაინელები, ქართველები არ არიან ცუდები, ისინი არ არიან ჩვენი მტრები. მათ სხვა ადამიანებმა თავი გამოუჭედეს, ისინი თოჯინები, მარიონეტები არიან, ისინი კი ებრძვიან ოკეანის გადაღმა მყოფ მარიონეტების მმართველებს. ჩემი აზრით, საქართველოს ან უკრაინის სუბიექტურობის ასეთი უარყოფა, იმის შეუგნებლობა, რომ საქმე გვაქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, საზოგადოებასთან, რომელსაც აქვს უფლება გააკეთოს არჩევანი რომელიმე მხარეს, საქმე გვაქვს იმის არცოდნასთან, რომ თუ გვსურს მათთვის პრიორიტეტული პარტნიორი ვიყოთ, მაშინ ცივილიზებულად უნდა მოვახდინოთ კონკურენცია, მოვიგოთ მათი გული და ასე შემდეგ, — განაცხადა გნეზდილოვმა.




## გიგი უგულავა მიხეილ გიორგაძეზე: „სინამდვილეში მოხსნეს, რადგან მთელი მისი სფერო რუსთაველზე დგას“



როგორც უსინდისოდ დაინიშნა, ისე უსინდისოდ მიდის, — ასე ეხმაურება „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა მიხეილ გიორგაძის მიერ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტის დატოვებას.

— მოედინება და მოაქვს მდინარეს. როგორც უსინდისოდ დაინიშნა, ისე უსინდისოდ მიდის. სისხლიან დარბევას არ შეუწუხებია, წასვლის მიზეზად სტანდარტულ მოტივს „სისტემაში ახალ სისხლს“ ასახელებს. სინამდვილეში, მოხსნეს! მოხსნეს იმის გამო, რომ მთელი მისი სფერო ეს დღეებია რუსთაველზე დგას და აბა „რობიკას“ [სტურუა] უფროსი გიორგაძე ისედაც არასდროს ყოფილა, — წერს გიგი უგულავა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

შეგახსენებთ, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ, მიხეილ გიორგაძემ, თანამდებიბის დატოვების შესახებ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

## საქართველოს დონალდ ტუსკი და რამდენიმე ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირი ეწვევა

საქართველოს ევროპის საბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი ეწვევა. ტუსკი საქართველოში საერთაშორისო კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა“ ფარგლებში ჩამოვა, რომელიც ბათუმში მიმდინარე წლის 11-12 ივლისს გაიმართება. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კონფერენციაზე, რომელიც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ 10 წლის იუბილეს ეძღვნება, მონაწილეებს სიტყვით მიმართავენ საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, ასევე საქართველოს მთავრობის წევრები.



კონფერენციის მაღალი დონის მონაწილეთა შორის, ასევე, არიან ევროკომისარი ჰუმანიტარული დახმარებისა და კრიზისების მართვის საკითხებში ქრისტოს სტილიანიდესი, ესტონეთის პრემიერ-მინისტრი იური რატასი, პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრები — იაცეკ ჩაპუტოვიჩი და მარგოტ ვალსტრომი, ბულგარეთის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ეკატერინა ზაჰარიევა, უკრაინის პირველი ვიცე-პრემიერი და ეკონომიკის განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრი სტეფან კუბივი, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აჰმედ მამად-გულიევი, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ზოჰრაბ მნაცაკანიანი, სერბეთის ევროინტეგრაციის მინისტრი იადრანკა იოქსიმოვიში, სლოვაკეთის ევროპულ და საგარეო საქმეთა მინისტრი მიროსლავ ლაიჩაკი, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პიტერ სიიარტო, ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტომაშ პეტრშიჩეკი, გერმანიის ევროპულ საქმეთა სახელმწიფო მინისტრი მიხაელ როტი, მოლდოვის საგარეო საქმეთა და ევროპული ინტეგრაციის სახელმწიფო მდივანი დანიელა მორარი, ალბანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სოკოლ დედია, ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ევგენი შესტაკოვი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი აუდუნ ჰალვორსენი, გერმანიის ბუნდესტაგის ვიცე-სპიკერი კლაუდია როტი, რუმინეთის დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტი ფლორინ იორდაჩე, შვედეთის სამეფოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი კერსტინ ლუნდგრენი.

საქართველო კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე საკანონმდებლო ორგანოს უმაღლეს დონეზე.

# გიორგი კვირიკაშვილის პომპეზურად დაანონსებული პროექტი ბახტაძის მთავრობამ დაიწუნა

გიორგი კვირიკაშვილის მიერ პომპეზურად დაანონსებული ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტთან დამაკავშირებელი ახალი სარკინიგზო სადგური აღარ აშენდება – ეს ფაქტი გუშინ გახდა ცნობილი. გუშინვე ეკონომიკის სამინისტრომ განაცხადა, რომ იგეგმება კოპიტნარში არსებული სადგურის რეაბილიტაცია. თუმცა ამ ფაქტს არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა.

რა ეტაპზეა ახალი პროექტი და რატომ გადაიფიქრა ეკონომიკის სამინისტრომ ქუთაისის აეროპორტთან დამაკავშირებელი ახალი სარკინიგზო სადგურის მშენებლობა. დეტალებზე კომერსანტთან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე აკაკი საღირაშვილი საუბრობს. როგორც ირკვევა მიღებული გადაწყვეტილების მიზეზი განახლებული კვლევაა, რომლის მიხედვითაც ახალი რკინიგზის აშენების საჭიროება აღარ არსებობს.

– პროექტმა განიცადა მოდიფიკაცია, რეალურად ჩვენ მთავრობას უნდა წარვუდგინოთ ახალი სქემა, როგორ უნდა განხორციელდეს ახალი პროექტი. კოპიტნარში არსებული სადგურის ახალი პროექტი ითვალისწინებს არსებული სადგურის რეაბილიტაციას, რომელიც აეროპორტიდან დაახლოებით კილომეტრ ნახევრით არის დაშორებული. აღსანიშნავია ისიც, რომ სადგურიდან ტერმინალამდე არის გრუნტის გზა, რომლის რეაბილიტაციაც მოხდება. ეს იქნება ტერმინალის დამაკავშირებელი გზა სადგურთან. საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები უკვე გვქონდა ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და მივიღეთ დაპირება, რომ ამ გზის რეაბილიტაცია მოხდება. მას შემდეგ რაც რეაბილიტაცია გაუკეთდება გზას ვგეგმავთ, რომ შატლები დავნიშნოთ. შატლები მგზავრებს უსასყიდლოდ მოემსახურება. კოპიტნარის სადგური კომფორტულად და უსაფრთხოდ დაუკავშირდება კოპიტნარის აეროპორტს, – აცხადებს აკაკი საღირაშვილი.



როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე აღნიშნავს, პროექტი უკვე მზადაა და საქართველოს მთავრობა განახლებულ ინფრასტრუქტურულ პროექტს უახლოეს მთავრობის სხდომაზე განიხილავს.

რაც შეეხება პროექტის ფასს, მისი ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია:

– ღირებულება მხოლოდ სადგურის ნაწილში მილიონ ლარს არ გასცდება. თუმცა, დაზუსტებით ღირებულებას ვიტყვით მას შემდეგ, რაც დეტალური პროექტი მომზადდება. პროექტი გაცილებით იაფი ჯდება ვიდრე ის, რომელიც გამიზნული იყო. ძველ პროექტში სხვადასხვა ვარიანტი განიხილებოდა, რკინიგზის ნაწილი იყო, ახალი ხაზი უნდა აშენებულიყო, ესტაკადა უნდა გაკეთებულიყო, მოკლედ ძალიან ძვირი გამოდიოდა. მე როგორც მახსოვს 10 მილიონზე მეტი ჯდებოდა. დასახული მიზნის მიღწევისთვის ახალი პროექტი გაცილებით კომფორტულია იმიტომ, რომ იქ უნდა გაკეთებულიყო 700-მეტრიანი სავალი ბილიკი, რომელსაც პირდაპირ შატლებით დაუკავშირდება მგზავრი, – განმარტავს აკაკი საღირაშვილი.

მინისტრის მოადგილის თქმით, პროექტი მთავრობის მოწონებიდან დაახლოებით ერთ წელიწადში დასრულდება.

– ის, რომ ქუთაისის შადრევნის წინ ლიანდაგები არ გაივლის და ის, რომ სახელმწიფო ათობით მილიონ დოლარს ამაში არ დახარჯავს და აეროპორტთან მისასვლელი ინფრასტრუქტურა არ დაზიანდება, ამაში საგანგაშო არაფერია – ასე აფასებს საგზაო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი სეთურიძე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილებას. გიორგი სეთურიძე მიღებულ გადაწყვეტილებას პრაგმატულს უწოდებს.

– როდესაც აღმოჩნდა, ქუთაისის აეროპორტი არის სწრაფად მზარდი, მაშინდელ პრემიერს, გიორგი კვირიკაშვილს გაუჩნდა იდეა, რკინიგზის ხაზს აეროპორტთან რაც შეიძლება ახლოს გაევლო. ეს იყო იდეა რომელსაც სჭირდებოდა დამუშავება მაგრამ, მოხდა ამის ტირაჟირება და კეთილშობილური სურვილი სახელმწიფო გეგმად ჩამოყალიბდა. სურვილს პროფესიონალურად მიუდგა მაშინდელი სამი სტრუქტურა, რომელსაც საკითხი ეხებოდა. ეს იყო რკინიგზა, აეროპორტების გაერთიანება და გზების დეპარტამენტი, რადგან გზების დეპარტამენტსაც თავისი წვლილი უნდა შეეტანა შემდგომში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეკონსტრუქციაში. ეს არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, რომ როდესაც სტრუქტურებმა ითანამშრომლეს მიუხედავად იმისა, რომ იყო პრემიერის სურვილი ასე ბრმად არ გაკეთებულა, არც პრემიერს დაუჟინებია რაც ვთქვი ის გააკეთეთო და პრაგმატულად მიიღო ის შედეგები, რაც კვლევამ აჩვენა.

საგზაო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი კომერსანტთან იმ კვლევის დეტალებზე საუბრობს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება უარი თქვას ახალი სარკინიგზო სადგურის აშენებაზე.

რკინიგზის დეპარტამენტმა შეუკვეთა კვლევა საკმაოდ კომპეტენტურ უცხოურ საკონსულტაციო ორგანიზაციას და კვლევის შედეგებმა გამოავლინა ის, რომ ამხელა ინვესტიცია არც რკინიგზის მხრიდან და არც სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან იმ მომენტისათვის არ იყო მიზანშეწონილი. თვითონ ქუთაისის აეროპორტი ისეა მოწყობილი, რომ კომფორტულად ვერ მოხდებოდა რკინიგზის ხაზის გადატანა, რაც არ შეიძლებოდა სცოდნოდა კვირიკაშვილს იმ მომენტში, როდესაც ეს სურვილი გაუჩნდა. იმ შემთხვევაში, თუ გადავიდოდა იქ რკინიგზის ხაზი, აეროპორტში შესასვლელის დაახლოებით 2 კილომეტრით გადატანა გახდებოდა საჭირო, აეროპორტის წინ კი საკმაოდ დიდი ესტაკადის მშენებლობა, ასევე იქ გზების ჩაკეტვა და ა.შ. ანუ ყველაფერი რეალური სიტუაციიდან გამომდინარე გაანალიზდა და ამის შესახებ მთავრობას ეცნობა. ყველა გამჭოლი მატარებელი კოპიტნარის აეროპორტში გაჩერდება, სადაც შატლები დახვდებათ, რომელიც მგზავრს დაახლოებით 5 წუთში მიიყვანს აეროპორტთან. ეს საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკაა და არავინ აკრიტიკებს ამის გამო სხვა ქვეყნებს. აქაც ზუსტად იგივე გვექნება. ამ ეტაპზე იქნა პრაგმატული გადაწყვეტილება და ამაში, ვფიქრობ, დასაძრახი არაფერია, – აცხადებს გიორგი სეთურიძე.

**კომერსანტი**

# სასამართლომ 112-ის გადასახადი არაკონსტიტუციურად ცნო

საკონსტიტუციო სასამართლომ 112-ის გადასახადი, რომელიც ფიზიკური პირებისთვის 20 თეთრი, ხოლო იურიდიული პირებისთვის 50 თეთრია, არაკონსტიტუციურად ცნო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გადასახადი საბოლოოდ გაუქმდება.

შესაბამისი სარჩელით სასამართლოს იურისტმა ლევან ალაფიშვილმა და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფმა“ მიმართა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს კონკრეტული მოსაკრებელი საქართველოს პარლამენტს უნდა დაედგინა, შესაბამისად, მთავრობას არ ჰქონდა უფლება, მოსაკრებელი შემოეღო ან მისი განაკვეთი განესაზღვრა. ამასთან, სასამართლომ 2019 წლის 31 დეკემბრამდე გადაავადა სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება, „რადგან მთავრობასა და პარლამენტს ჰქონდეთ გონივრული ვადა იმისთვის, რომ 112-ის დაფინანსების საკითხი გადაეწყვიტათ“.

– 2019 წლის 5 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ დააკმაყოფილა №1279 კონსტიტუციური სარჩელი („ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“).

სადავო ნორმების თანახმად, სატელეფონო აბონენტები იხდიდნენ „112“-ის მომსახურების საფასურს, რომელიც ყოველთვიურად ფიზიკური პირისთვის შეადგენდა 0.20 ლარს, ხოლო იურიდიული პირისთვის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისთვის – 0.50 ლარს.

მოსარჩელე მხარის არგუმენტაციით, აბონენტს „112“-ის მომსახურების საფასური ეკისრებოდა მისი ნების მიუხედავად, რაც არღვევდა საკუთრების უფლებას. ამავე დროს, საკუთრების უფლებაში ჩარევა ხორციელდებოდა არა კანონის, არამედ მთავრობის დადგენილების საფუძველზე, რაც ფორმალურად ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მოთხოვნებს. გარდა ამისა, „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ მიუთითებდა, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართ „112“-ის საფასურის განსხვავებული ტარიფის არსებობას არ გააჩნდა ობიექტური საფუძველი და დისკრიმინაციული იყო.

მოპასუხის პოზიციით, „112“ უზრუნველყოფს კოორდინაციას სასწრაფო დახმარებასთან, პოლიციასთან და სახანძრო სამსახურთან, ხოლო დაწესებული საფასური კი ემსახურებოდა „112“-ის ხარჯების ანაზღაურებას და მისი სერვისის თითოეული აბონენტისთვის ხელმისაწვდომობას. მოპასუხემ ასევე აღნიშნა, რომ კანონმდებელმა „112“-ის სპეციფიკური საჭიროებიდან გამომდინარე, საფასურის განსაზღვრის უფლებამოსილება მიანიჭა საქართველოს მთავრობას, რაც შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.




საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „112“-ის საფასურის გადახდის სატელეფონო აბონენტებისათვის დაკისრება ემსახურება „112“-ის ხარჯების და მის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურებას. ამავე დროს, საფასურის გადახდის სანაცვლოდ მიღებული სარგებელი არის არა აბონენტის მიერ უშუალოდ „112“-ში საგანგებო შემთხვევის შესახებ შეტყობინების გაკეთება, არამედ ასეთი შეტყობინების გაკეთების შესაძლებლობის არსებობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, სადავო ნორმებით გათვალისწინებული „112“-ის საფასური განეკუთვნება კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოსაკრებლებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოსაკრებლის სტრუქტურის და შემოღების წესის, მისი განაკვეთების ან განაკვეთის ფარგლების დადგენა მხოლოდ კანონით დაიშვება, რაც გამორიცხავს საქართველოს პარლამენტის მიერ ამ უფლებამოსილების მთავრობაზე დელეგირებას. სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმები განსაზღვრავდა მოსაკრებლის გადამხდელ სუბიექტებს და მოსაკრებლის განაკვეთს და ამდენად, აღნიშნული საკითხის მოწესრიგების კონსტიტუციური უფლებამოსილება საქართველოს მთავრობას არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო.

ამავე დროს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობის შედეგად „112“ დაკარგავდა დაფინანსების ძირითად წყაროს, რასაც შესაძლოა, საფრთხე შეექმნა მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესებისათვის. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 31 დეკემბრამდე გადაავადა სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება, რათა საქართველოს პარლამენტს და საქართველოს მთავრობას მიეცეთ გონივრული შესაძლებლობა, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მოაწესრიგონ აღნიშნული, – ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.

# შენგელია მიხეილ გიორგაძეზე: „საკუთარი ბიზნესპროექტები აინტერესებდათ, დაკავებული იყვნენ კორუფციით“

– გიორგაძისა და მისი გუნდის მოღვაწეობის პერიოდი კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობაზე იყო ერთ-ერთი ყველაზე ნეგატიური და ბნელი ქართული კულტურისათვის, – ასე ეხმაურება Bravo Records-ის პრეზიდენტი ზაზა შენგელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის მიხეილ გიორგაძის თანამდებობის დატოვების საკითხს. ზაზა შენგელია ძირითადად გიორგაძის კულტურის მინისტრობის პერიოდს აფასებს და აღნიშნავს, რომ მისი მინისტრობის პერიოდში კორუფციასა და ნეპოტიზმს ჰქონდა ადგილი.– ეს პერიოდი ქართული კულტურისათვის ზიანის მომტანი იყო, რადგან მათ ძირითადად საკუთარი ფესტივალი და ბიზნესპროექტები აინტერესებდათ და დაკავებული იყვნენ კორუფციით, ნეპოტიზმით. არ დარჩენილა არც ერთი სფერო, სადაც მათ პრობლემები არ ჰქონდათ. მაგალითად, თეატრის მოღვაწეთა ხელფასების კლება მაშინ, როდესაც აპარატში საოცრად დიდი პრემიები და დანამატები გაიცემოდა.



ასევე ფილარმონიის თემა, რომელიც მათი უხეირო მენეჯმენტობის გამო დგას, პრაქტიკულად ჩაკვდა ფილარმონიული ცხოვრება და იქ კონცერტის ჩატარებას გაზრდილი ფასებისა და არახელსაყრელი პირობების გამო ყველა ერიდება, – განაცხადა შენგელიამ.

Bravo Records-ის პრეზიდენტი bm.ge-სთან საუბრისას კულტურის, განათლებისა და სპორტის სამინისტროების გაერთიანების საკითხზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ კულტურის სამინისტროს გაუქმება შეცდომა იყო.

– ამ ადამიანებმა კულტურის სამინისტროს როლი იმდენად დააკნინეს, რომ ერთი წლის წინ, როდესაც კულტურის სამინისტრო გაუქმდა, ამაზე საზოგადოებას პროტესტის გრძნობაც კი არ ჰქონია.

ეს რეალურად ძალიან დიდი შეცდომა იყო, ვინაიდან დღეს საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში თუკი რაიმე ხელს შეუწყობს ქართული მყოფადობის ხაზგასმას, ეს სწორედ ჩვენი კულტურაა და სწორედ კულტურაა ის ინსტრუმენტი, რომლითაც ჩვენ დღეს თავი მოგვაქვს. თუ ვინმე ერთ პოზიტიურ ფაქტს დამისახელებს, რაც გიორგაძის მოღვაწეობას უკავშირდება, ხელს ავწევ. ასეთი სუსტი ხელმძღვანელობა კულტურის სამინისტროს არცერთ ეპოქაში არ ჰყოლია, – განაცხადა შენგელიამ.

ზაზა შენგელიას განმარტებითვე, 2016 წელს უამრავი რესურსი დაიხარჯა კულტურის განვითარების კონცეფციის შემუშავებაზე, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე დაწერილ დოკუმენტად დარჩა.

– კულტურის განვითარების კონცეფციის მიღების შემდეგ ამას უნდა მოჰყოლოდა კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიღება, რომელიც კულტურის სფეროში კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამდა, – განმარტა Bravo Records-ის პრეზიდენტმა.

**BMG**

# ქურდული სამყაროს 10 წევრი დააკავეს, 1 პირს კი ბრალი ციხეში წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქურდული სამყაროს 10 წევრი დააკავა, 1 პირს კი ბრალი ციხეში წარუდგინა.

ამის შესახებ 5 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლმა მამუკა ჭელიძემ ბრიფინგზე განაცხადა.

— ქურდული სამყაროსა და მასთან დაკავშირებული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ბოლო 2 დღის განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული რამდენიმეთვიანი ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მთელი საქართველოს მასშტაბით, ქურდული სამყაროს 10 წევრი დააკავეს, 1 პირს კი ბრალი ჭ17 პენიტენციურ დაწესებულებაში წარუდგინეს.

დაკავების ღონისძიებები მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა. კერძოდ, ბათუმში, მესტიაში, მარნეულში, დმანისში, რუსთავსა და თბილისში. ერთ-ერთი ბრალდებული დაკავებულია წითელ ხიდზე, მაშინ, როდესაც იგი ქვეყნის დატოვებას ცდილობდა.

დაკავებულები არიან: 1992 წელს დაბადებული ჯ.შ., 1996 წელს დაბადებული თ.მ., 1973 წელს დაბადებული რ.კ. (მეტსახელად „ლამბო“), 1974 წელს დაბადებული ა.ა. ( მეტსახელად „ოსკარი“, იგივე „ალესკერი“), 1980 წელს დაბადებული ა.ვ. (მეტსახელად „ხომეინი“), 1980 წელს დაბადებული დ.ბ. (მეტსახელად „გოჭი“), 1985 წელს დაბადებული რ.ჯ. (მეტსახელად „ჯოლო“), 1985 წელს დაბადებული რ.კ. (მეტსახელად „ბაჩო“), 1981 წელს დაბადებული თ.ქ. (მეტსახელად „წიე“) და 1988 წელს დაბადებული ი.გ. (მეტსახელად „ყურშა“). სამართალდამცველებმა



1986 წელს დაბადებულ ლ.ა.-ს (მეტსახელად „ლერის“) ანალოგიური დანაშაულისთვის ბრალი ჭ17 პენიტენციურ დაწესებულებაში წაუყენეს.

აღნიშნულ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები საკუთარი კრიმინალური გავლენის გამოყენებით, აქტიურად მონაწილეობდნენ ე.წ. ქურდული სამყაროს საქმიანობაში, ასევე, თავიანთი ქმედებებით ავრცელებდნენ ქურდული სამყაროს სპეციალურ წესებს, როგორიცაა სარგებლისა და უპირატესობის მიღება, ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვება-მინიჭება და ქურდული სამყაროს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის განხილვა-გადაწყვეტა.

დაკავებულთა შორის 4 პირი ღიად აღიარებდა ქურდულ სამყაროს და მისდამი მხარდაჭერას საჯაროდ გამოხატავდა. ისინი ე.წ. კანონიერი ქურდების – „გულის“, მისი ძმის – ნამიკ სალიფოვის და მათი გარემოცვის სასარგებლოდ, ასევე, მათი სახელის გამოყენებით, მოქალაქეებს აშინებდნენ, ემუქრებოდნენ და თანხას სძალავდნენ.

კერძოდ, გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა ერთ-ერთ მოქალაქეს თავისი კუთვნილი ავტომობილი გამოსძალეს, ხოლო სხვა მოქალაქეს ქურდული სამყაროსათვის სარგებლის მისაღებად 4,000 ლარის გადაცემა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მისი შვილებისა და შვილიშვილებისთვის საფრთხის შექმნით დაემუქრნენ.

გამოძიებით ასევე, დადგინდა, რომ ციხეში მყოფი ქურდული სამყაროს წევრი, მეტსახელად „ლერი“ კრიმინალური გავლენების გამოყენებით აგროვებდა ე.წ. „საერთოს“ (იგივე „ობშიაკს“) და აგზავნიდა თურქეთში მყოფი კანონიერი ქურდის – მინდია ლავასოღლის გარემოცვასთან. მასთან ერთად ამ პროცესში მონაწილეობას იღებდა დაკავებულთა შორის მყოფი ქურდული სამყაროს 5 წევრი.

სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია მინდია ლავასოღლის გარემოცვისთვის გადასაცემი ე.წ. „ობშიაკის“ თანხა, – ნათქვამია ინფორმაციაში.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს გამოძიებას ქურდული სამყაროს“ წევრობის ფაქტებზე, რომელიც საქართველოს სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს.

# ბესელია და ფოფხაძე მეთოფიშვილისა და გვრიტიშვილის დასჯას ითხოვენ



პარლამენტის წევრები და პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერები ეკა ბესელია და გედევან ფოფხაძე იუსტიციის საბჭოს მდივანსა და ინსპექტორს წერილით მიმართავენ.

დეპუტატები მოსამართლეების სერგო მეთოფიშვილისა და დიმიტრი გვრიტიშვილის დისციპლინური წესით დასჯას ითხოვენ.

პარტია „სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე და გენერალური მდივანი ასევე მათ მიერ გაგზავნილ წერილზე რეაგირებისთვის დადგენილი ვადების დარღვევაზეც მიუთითებენ.

როგორც წერილშია აღნიშნული, საჩივარი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 2019 წლის 5 მარტს გაეგზავნა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, ინსპექტორის მიერ საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში საბჭოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. თუმცა კანონით დადგენილი ვადების დაცვა და საჩივარზე სამართლიანი და ობიექტური რეაგირება ამ დრომდე არ მომხდარა.

„ის განცხადებები, რაც საჯაროდ გააკეთეს მოსამართლეებმა, გადადის ეთიკის ყოველგვარ ზღვარს და დასაშვებ ფარგლებს და აშკარად არის არაკორექტული. ამ ფაქტების რეაგირების გარეშე დატოვება თავად სასამართლოს ნდობას უქმნის საფრთხეს.

ასეთი მოსამართლეების დატოვება სასამართლო ხელისუფლებაში არის საფრთხის შემცველი მთელი სასამართლოსთვის ნდობის თვალსაზრისით და საფრთხის შემცველია საზოგადოებისთვისაც, რომელსაც უნდა ჰქონდეს ელემენტარული განცდა სამართლიანობის“ – აღნიშნულია ეკა ბესელიასა და გედევან ფოფხაძის წერილში.

# ადვოკატი: „მტკიცებულება არ არის, რომ ბესიკ თამლიანი აპირებდა პარლამენტში შეღწევას“

კონკრეტული მტკიცებულება არ არის, რომ თამლიანი აპირებდა პარლამენტში შეღწევას, ამავე მიზნით ძალადობას და თავდასხმას.

ამის შესახებ 20-21 ივნისის მოვლენებისას ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებული ბესიკ თამლიანის ადვოკატმა ვახტანგ იაშვილმა განაცხადა.

5 ივლისს თამლიანს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. როგორც ადვოკატი ამბობს, ძირითადი მტკიცებულება საქმეში მოწმეთა ჩვენებებია.

— გამოძიების შედეგად ირკვევა, რომ ბესიკ თამლიანმა ჩაიდინა ჯგუფურად ძალადობაში მონაწილეობა, რასაც თან ახლდა ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება-განადგურება იარაღის გამოყენებით, ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა, ერთადერთი ატომური იარაღი არ არის მითითებული.

მტკიცებულებები არის მოწმეთა ჩვენებები და ამ დროს არც ერთი მოწმის სახელი ჯერ არ ვიცით და რა სახის მტკიცებულებებია, მაგრამ დაგვპირდნენ, რომ გადმოგვცემენ.

ძირითადად, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ეს არის პოლიციელების ჩვენებები და ვიდეოფირი, ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც მოხდა ამოცნობა კონკრეტული პირის.



კონკრეტული მტკიცებულება, რომ თამლიანი აპირებდა პარლამენტში შეღწევას და ამავე მიზნით ძალადობას, თავდასხმას, ასეთი სახის მტკიცებულება ამ ჩამონათვალში არ არის, – განაცხადა ვახტანგ იაშვილმა.

# მაია რჩეულიშვილისა და ბექა ბასილაიას გამოუცხადებლობის გამო სასამართლო გადაიდო



„ცენტრ პოინტ ჯგუფის“ საქმეზე, ბათუმის „თეთრი მაგნოლიას“ ეპიზოდზე ბრალდებულების, მაია და გუკა რჩეულიშვილების სასამართლო პროცესი გადაიდო.

სასამართლო სხდომა 26 ივლისს, 16:00 საათზე გაიმართება.

პროცესის გადადების მიზეზი სხდომაზე მაია რჩეულიშვილისა და მისი ადვოკატის ბექა ბასილაიას გამოუცხადებლობა გახდა.

როგორც სასამართლო პროცესზე გუკა რჩეულიშვილმა განაცხადა, ბექა ბასილაია რუსთაველის გამზირზე მოშიმშილეთა შორის ერთ-ერთია. სწორედ აღნიშნულის გამო ვერ შეძლო მან სხდომაზე გამოცხადება.

— ბექა ბასილაიას ვესაუბრე, მინდოდა მეთქვა, რომ შიმშილობა შეეწყვიტა, ძალიან დასუსტებულია, მაგრამ ვერაფერზე დავითანხმე, – განაცხადა რჩეულიშვილმა.

„თეთრი მაგნოლიას“ ეპიზოდზე ბრალდებულები არიან მაია და გუკა რჩეულიშვილები. მათ სახელმწიფო ბრალდება მენაშენეების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მითვისებას ედავება.

# გურამ ფალავანდიშვილი: „პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გამიწევია“



სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ადმინისტრაციული წესით პასუხისგებაში მიცემული გურამ ფალავანდიშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო.

შემდეგი სასამართლო სხდომა 8 ივლისს, 14:00 საათზე გაიმართება.

5 ივლისის სასამართლო პროცესზე ფალავანდიშვილი განმარტავდა, რომ მას პოლიციელებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

— არანაირი წინააღმდეგობა არ გამიწევია, შელაპარაკებაც კი არ ყოფილა. უწყება უნდა ჩაგაბაროთო მითხრეს, მაგრამ არავის არაფერი ჩაუბარებია, — განაცხადა ფალავანდიშვილმა.

თავის მხრივ, სასამართლოზე მოწმის სახით დაკითხული პოლიციელები ამბობდნენ, რომ გურამ ფალავანდიშვილმა მათ უწყების გადაცემისას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და პოლიციის მისამართით უშვერ სიტყვებს იყენებდა.

— პოლიციელებს გურამ ფალავანდიშვილისთვის უწყება უნდა ჩაებარებინათ, რაზეც ის განრისხდა, დაიწყო შეურაცხმყოფელი სიტყვები, პოლიციელებმა მას სიმშვიდისკენ მოუწოდეს. მათ გააფრთხილეს, რომ თუ კანონიერ მოწოდებას არ დაემორჩილებოდა, ადმინისტრაციული წესით დააკავებდნენ, რაზეც კიდევ უფრო მეტად განრისხდა.

ის სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა პოლიციას, უწყება არ ჩაიბარა, რაზეც კონკრეტული მიზეზი არ განუმარტავს, — განაცხადა შსს-ს წარმომადგენელმა ირაკლი ქუხილავამ.

გურამ ფალავანდიშვილი სამართალდამცავებმა 20 ივნისს დააკავეს. მას 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავებიან, რაც პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, სიტყვიერ შეურაცხყოფასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას გულისხმობს.

გურამ ფალავანდიშვილთან სამართალდამცავები გამოკითხვაზე დაბარების მიზნით უწყების ჩასაბარებლად მივიდნენ, რა დროსაც, ფალავანდიშვილმა მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

# ბიძა და მისი 3 ძმისშვილი ტრაქტორით გადაბრუნდნენ

## ავარია ოზურგეთში




„გურიის მოამბის“ ინფორმაციით, 4 ივლისს ოზურგეთში ავარია მოხდა.

სოფელ ძიმითში მცხოვრები გვარჯალაძეების ოჯახის 4 წევრი მძიმე მდგომარეობით საავადმყოფოშია გადაყვანილი.

შემთხვევა საღამოს საათებში მოხდა, როცა ბიძას თავისი მცირეწლოვანი ძმისშვილები მდინარეზე საბანაოდ ტრაქტორით მიჰყავდა.

მდინარეზე მისვლამდე მძღოლმა ტრაქტორის საჭე ვერ დაიმორჩილა და გზიდან გადავარდა.

როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი აღნიშნავს, ერთ-ერთ ბავშვს ფუძის ძვალი აქვს დაზიანებული, დანარჩენები კი სხვადასხვა სახის მოტეხილობებით ქუთაისის საავადმყოფოში არიან გადაყვანილები:

— ორი ბავშვი სკოლის მოსწავლეა, ერთი, მგონი, წელს უნდა შესულიყო სკოლაში, ეს არის ყველაზე პატარა ასაკით და მისი მდგომარეობა არის ძალიან მძიმე. მართვით სუნთქვაზეა ეს პატარა თურმე. ასეთი მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრები ოჯახი ჩემს სოფელში სხვა არ მეგულება, — თქვა ადგილობრივმა.

# სამგორიდან ვარკეთილამდე მეტრო გაჩერებული იყო

5 ივლისს მეტროსადგურ სამგორიდან ვარკეთილამდე მგზავრთა მომსახურება რამდენიმე წუთის განმავლობაში შეფერხებული იყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის პრესსამსახურში განუცხადეს, 5 ივლისს დილით რამდენიმე წუთის განმავლობაში შეფერხება ფიქსირდებოდა თბილისის მეტროს პირველ ხაზზე.

ტექნიკური გაუმართაობის გამო, მგზავრთა გადაყვანა მხოლოდ მეტროსადგურ სამგორამდე ხორციელდებოდა, შეჩერებული იყო მგზავრთა მომსახურება მეტროსადგურ ვარკეთილამდე.

მოგვიანებით პრობლემა აღმოიფხვრა და მოძრაობა შეუფერხებლად აღდგა.

# აშშ-ში დამოუკიდებლობის დღე სამხედრო აღლუმით აღნიშნეს



4 ივლისს აშშ-ში დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს. ამ დროს, ტრადიციულად, იშლება სუფრები, იმართება ფეიერვერკები, ეწყობა პიკნიკები.

წლევანდელი დღესასწაული განსხვავებული გამოდგა. ამ დღეს სამხედრო აღლუმი პირველად გაიმართა. მიზანი რუსეთისთვის ამერიკული სამხედრო ძლიერების დემონსტრირება იყო. კანონზომიერია ისიც, რომ ტრამპის გვერდით ტრიბუნაზე აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი მარკ ესპერი იდგა.

ტრამპმა მოსახლეობას სიტყვით მიმართა. მან ამერიკის ისტორია მოკლედ მიმოიხილა, ილაპარაკა შეიარაღებულ ძალებზე, იმ ეტაპებზე, რომლებიც მათ დღემდე განვლეს.

— მათ, ვინც თავის დროზე ამერიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და იარაღით ხელში დაიცვა ჩვენი ეროვნული იდეალები, განუმეორებელი ამერიკული ეროვნული სული შექმნეს! ეს ახლაც ძალას გვმატებს. დღეს ამერიკა ძლიერია, როგორც არასოდეს! — ტრამპის ამ სიტყვებს მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა.

4 ივლისს აშშ-ის პრეზიდენტობის პრეტენდენტი ჯო ბაიდენი აიოვის შტატში ჩავიდა. ამერიკის დამოუკიდებლობის დღე მან პატარა ქალაქში აღნიშნა. ქალაქს სიმბოლური სახელი ინდიპენდენსი (დამოუკიდებლობა) ჰქვია. იქ სულ 6.000 მცხოვრებია.

ბაიდენი ხალხში გავიდა, მათთან ისაუბრა, იხუმრა და ა.შ.

76 წლის ბაიდენი დემოკრატიული პარტიიდან დღეს ყველაზე პოპულარულ ამერიკელ პოლიტიკოსად ითვლება. რეიტინგით ის პირველია.

# რუსეთში ჟურნალისტი ტერორისტთა დამქაშად გამოაცხადეს



ჟურნალისტ სვეტლანა პროკოფიევას მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მიზეზი მისი განცხადებაა. ფსბ-ს შენობასთან მომხდარი აფეთქებისას მან განაცხადა, რომ ამაში თავად სახელმწიფოა დამნაშავე, რადგან მან თავად აღზარდა თაობა, რომელიც მის წინააღმდეგ იბრძვის.

პასუხად პროკოფიევას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მას ტერორიზმის გამართლებას აბრალებენ.

ბანკში პროკოფიევას ანგარიშები დაიბლოკა. ჟურნალისტი ტერორისტების დამქაშად არის გამოცხადებული.

ფსბ-მ ის აღრიცხვაზე აიყვანა.

# იგორ დოდონი: „მაია სანდუსთან ძალიან კარგად ვთანამშრომლობ!“



მოლდოვის პრეზიდენტმა, პრორუსული ორიენტაციის იგორ დოდონმა განაცხადა, რომ პროდასავლელ პრემიერ მაია სანდუსთან ძალიან კარგად თანამშრომლობს.

— საგარეო პოლიტიკაში ჩვენ შორის უთანხმოება, რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ ეს გვერდზე გადავდეთ. დღეს მოლდოვა ვერც ევროკავშირში და ვერც ევრაზიულ კავშირში ვერ გაწევრიანდება. ამიტომ აქცენტი იმაზე გაკეთდა, რაც გვაერთიანებს, — თქვა დოდონმა.

პრეზიდენტის აზრით, მასაც და სანდუსაც სამშობლო უანგაროდ უყვართ. ორივეს ერის გადარჩენა სურს. ერთიანობის საფუძველიც ეს არის.

— მაია სანდუსთან ძალიან კარგად ვთანამშრომლობ! ამ კოალიციას თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ! — ამბობს დოდონი.

## კალეიდოსკოპი

### მამაკაცი ატრაქციონზე 16 მეტრის სიმაღლეზე გაიჭედა

ამერიკის ფლორიდის შტატის ბეის ოლქში მამაკაცი ერთ-ერთ გასართობ პარკში სტუმრობის დროს 16 მეტრის სიმაღლეზე გაიჭედა.

ინციდენტი ორშაბათს 1 ივლისს მოხდა. როგორც სახანძრო სამსახური იუწყება, ატრაქციონი ვომატრონი მუშაობის დროს გაითიშა, რის გამოც მამაკაცი 16 მეტრის სიმაღლეზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დარჩა. მაშველებს სახანძრო კიბის გამოყენება დასჭირდათ, რათა მამაკაცამდე მიეღწიათ.

ის სიმაღლიდან ჩამოიყვანეს და ამჟამად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის, უბრალოდ, ძალზე შეშინებულია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ტრაგედია მინსკში



ბელორუსში დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნისას ტრაგედია მოხდა. ფეიერვერკის დროს პიროტექნიკის ნამსხვრევი 84 წლის ქალს კისერში შეერჭო. ის საავადმყოფოში წაიყვანეს. მოხუცი გარდაიცვალა.

ბელორუსები აცხადებენ, რომ პიროტექნიკა რუსეთიდან შემოიტანეს.

— რუსეთს სურდა, ჩვენთვის ჩაემწარებინა დამოუკიდებლობის დღე, ამიტომ უვარგისი პიროტექნიკა შემოგვაჩეჩა, — ამბობენ მინსკელები.



# შავ ზღვაში ერთდროულად 2 სამხედრო სწავლება მიმდინარეობს

შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აშშ-უკრაინის ტრადიციული სამხედრო-საზღვაო მანევრები „სი ბრიზ 2019“ მიმდინარეობს.

5 ივლისს ამ მანევრების სიახლოვეს რუსეთმა საკუთარი სამხედრო სწავლება დაიწყო.

„სი ბრიზ 2019“-ში, აშშ-ისა და უკრაინის გარდა, მონაწილეობენ ნატოს სხვა სახელმწიფოების (დიდი ბრიტანეთი, კანადა, იტალია, თურქეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, დანია, ლატვია, ესტონეთი) გემები და თვითმფრინავები, ასევე — ნატოს მოკავშირე ქვეყნების სამხედროები. მთლიანობაში, 30 გემი, 30 საფრენი აპარატი და 900 სამხედრო პირი.

რუსეთის მანევრებში 10 გემი მონაწილეობს. მათი ძირითადი დეკლარირებული ამოცანაა ნატოს მანევრებზე მეთვალყურეობა.

ამას გარდა, სწავლების ბოლო დღეს განახორციელებენ სარაკეტო და საარტილერიო სროლებს.

რუსეთი მიიჩნევს, რომ ნატოს მანევრები მას საფრთხეს უქმნის და ამერიკელები ამ ტრადიციული მანევრებით შავ ზღვაში პოზიციების გამაგრებას ცდილობენ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.
- ვაქირავებ წინამძღვრიშვილზე 2-ოთახიან, იზოლირებულ ბინას, გარემონტებულს, ყველა საჭირო ნივთით. ბინას შესასვლელი აქვს სადარბაზოდან. ქუჩაში მეტალო-პლასტმასის ფანჯრებითა და აივნით. ფასი 700 ლარი. მაკლერები არ გამომეხმაუროთ. ტელ: 597-46-40-60.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

- ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# რევაზ ჭანტურია: „მოვიგებთ და დავბრუნდებით“

ხელბურთის ეროვნული ნაკრების ვეტერანი, 37 წლის რევაზ ჭანტურია კარიერას მაკედონიის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში, სკოპიეს მეტალურგში გააგრძელებს.

მეტალურგი ჭანტურიასთვის უცხო არ არის და ამ გუნდში 2004-11 წლებში თამაშობდა.

ჭანტურიამ ბოლო სეზონი მაკედონიურ სტრუგაში დაასრულა. მალე კი ერთწლიან კონტრაქტს მოაწერს კლუბთან, რომელთან ერთადაც 2 სეზონი უთამაშია ჩემპიონთა ლიგაზე და მთავარ ევროპულ საკლუბო შეჯიბრებაში 21 გოლი გაუტანია.

რეზო მეტალურგში 2004 წელს, სტუ-შევარდენიდან გადავიდა და იქ 7 სეზონი გაატარა, შემდეგ ვარდარში, პელისტერში, სტრუმიცაში, ისევ პელისტერში და სტრუგაში ითამაშა, საქართველოს ნაკრებში კი მისი კარიერა 2001 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება.

ივნისში ის გუნდთან ერთად ერთა ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. ხელბურთელი 17 ივლისს გაემგზავრება მაკედონიაში და წინასასეზონო მზადებას დაიწყებს.

**რევაზ ჭანტურია:**

– მეტალურგის ვებგვერდზე ასე დაწერეს – ჭანტურია 8 წლის შემდეგ დაბრუნდა გუნდში, სადაც დაიწყო საერთაშორისო კარიერა და ალბათ აქვე დაასრულებსო. 1+1 კონტრაქტს მთავაზობდნენ, მაგრამ ერთწლიანი ვარჩიე. ჩემს ასაკში ყველაფერი ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული. აგერ, ერთა ჩემპიონატზე, უწყინარ სიტუაციაში შევხტი ირლანდიის ნაკრების ზონაში და კუნთი გავიწყვიტე. მთავარია, ჯანმრთელად ვიყო და კიდევ 2 წელი ვაპირებ თამაშს.

**– იქამდე ალბათ მასტერ-კოუჩის ლიცენზიასაც აიღებთ.**



– ზუსტად მასე მაქვს დაგეგმილი. მწვრთნელობის 2 დონის კურსები უკვე დავხურე. ამ მომენტისთვის ჩემი ლიცენზიით ნებისმიერი ასაკის ახალგაზრდულ გუნდში შემიძლია მუშაობა. ამას მოსდევს მესამე კატეგორია, რომელიც კაცთა გუნდში მწვრთნელობის უფლებას მაძლევს და ამის შემდეგ არის მასტერ-კოუჩის დონე, ურომლისოდაც 2022 წლიდან ვერც ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე კლუბში იმუშავებ და ვერც ეროვნულ ნაკრებში.

მეტალურგი ერთ დროს მაკედონიის საუკეთესო გუნდი იყო, შემდეგ პირველობა ვარდარს დაუთმო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში მაინც რეგულარულად თამაშობდა. წინა სეზონში, მაკედონიაში მე-2 ადგილი ეუროფარმმა აიღო და წლეულს თასზე მოგვიწევს გამოსვლა. მაგრამ ეგ არაფერი, ჩემთვის მეტალურგი ახლა იდეალური ვარიანტია.

გუნდში სულ 4 ვეტერანი ვართ, დანარჩენები 23 წლამდე პერსპექტიული ბიჭები არიან, სერიოზული გეგმები აქვთ დასახული და იქ მოსამზადებლად, სპორტული ფორმის ასაკრეფად და შესანარჩუნებლად ყველა პირობა მექნება. ჩემთან ერთად აიყვანეს მილან პოპოვიჩი, ჩერნოგორიის ნაკრების ძირითადი მარცხენა გარემარბი, ძალიან კვალიფიციური მოთამაშე. ჩემს, მხარეს, მარჯვენა კუთხეში კი ახალგაზრდა ბიჭები ჰყავთ.

**– ახლა საქართველოს ნაკრების ბოლო შეჯიბრება შევაფასოთ.**

– საინტერესო ტურნირი იყო და მისი მოგება ნამდვილად არ ყოფილა იოლი. კუბა, აშშ და ბულგარეთი, ჩემი აზრით, არ ჩამოუვარდებიან იმ ევროპულ გუნდებს, რომლებთანაც ბოლო წლებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებს ვთამაშობდით.

ჩვენი ახალი მთავარი მწვრთნელი ნიკოლა მაქსიმოვიჩი სერიოზული პროფესიონალია. მას და ბექა ორჯონიკიძეს ეხმარებოდა დრაგან ჯუკიჩი, რომელიც კონსულტანტია და თამაშის დროს არ ჩანდა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. მწვრთნელები აანალიზებდნენ ჩვენი და მომავალი მეტოქეების თამაშს, სტატისტიკურ მონაცემებს, დეტალურ ინფორმაციას გვაწვდიდნენ მომავალ მეტოქეზე და მის ყველა მოთამაშეზე. უშუალოდ თამაშს კი ძალიან კვალიფიციურად უძღვებოდა მაქსიმოვიჩი.

მოკლედ, ყველაფერი ისე იყო, როგორც დიდ გუნდებშია. ყველაფერი იწყება დაცვით და პირველ რიგში უნდა ვახსენო დაცვაში სწორი თამაში და ჩვენი მეკარე, შოთა თევზაძე. როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში, საკვანძო ფიგურა იყო ირაკლი ჩიქოვანი. დანარჩენები ახალგაზრდები არიან და კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა რომ მათ ძალიან კარგი მომავალი აქვთ.

რაც შეეხება ჩემს პოზიციას, აქ უმტკივნეულოდ შემცვალა ირაკლი გოგოლაძემ, რომლისთვისაც ეს სულ მეორე საერთაშორისო ტურნირი იყო. მის გარდა, გვყავდა კიდევ უფრო ახალგაზრდა გიორგი მერკვილაძე. გიორგი დიხამინჯიამ ბოლო სეზონი სტრუგაში ინსაიდად ითამაშა, მაგრამ გადამწყვეტ მატჩებში მნიშვნელოვანი გოლები გაიტანა გარემარბის პოზიციიდანაც. როდესაც კარიერას დავასრულებ, შემიძლია ჩემს პოზიციაზე არ ვიდარდო – მშვენიერი ცვლა გვყავს. ჯამში, ჩვენ 9 დღეში გვქონდა 7 თამაში და ყველა მოვიგეთ. ეს შეუძლებელი იქნებოდა, ერთ მტკიცე გუნდად რომ არ ვყოფილიყავით შეკრული. ყველამ, ვეტერანმაც და ახალგაზრდამაც მაქსიმუმი გაიღო გამარჯვებისთვის.

**– ახლა მომავალზეც გკითხავთ. წინ გველის ევროპის ჩემპიონატის ფლეი ოფი და მსოფლიო პირველობის კვალიფიკაცია.**

– ორივე ამ ტურნირის წილისყრა ივლისის ბოლოს იქნება. ევროპის ფლეი ოფს რაც შეეხება, 3 სავარაუდო მეტოქიდან, მე ესტონეთთან თამაში მირჩევნია, ბელგიასთანაც არაუშავს. ფინეთიც არაა ჩვენზე ძლიერი, თუმცა, ძალისმიერი, ხისტად მოთამაშე გუნდია და თუმცა ესტონეთი ან ბელგია სჯობს. თუ მოვიგეთ, ჩვენ გავდივართ ევროპის ელიტაში, მთავარ საკვალიფიკაციო რაუნდში, 32 უძლიერეს გუნდს შორის, ამ 32 გუნდში კი ფინალური ეტაპის 20 საგზური თამაშდება.

მსოფლიო ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლაც შეგვიძლია. აქაც დაახლოებით ჩვენი დონის გუნდებია – იტალია, რუმინეთი, ისრაელი, კოსოვო, ბელგია, საბერძნეთი, თურქეთი, ესტონეთი, ფინეთი, ლიტვა, სლოვაკეთი, ფარერები, ლუქსემბურგი, კვიპროსი, ბრიტანეთი... მშვენიერი ახალგაზრდები გვყავს, ვეტერანებიც ჯერჯერობით მწყობრში და მათ გვერდით ვართ, სანამ შეგვიძლია და ეს მომენტი უნდა გამოვიყენოთ.

ხელბურთი ჩვენი თამაშია. მართალია, ვერ ვიტყვი, რომ ბოლო დროს ჩვენი მედია, ტელევიზია ხელბურთის ნაკრების თამაშებს დიდ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული – მოვიგებთ და დავბრუნდებით. სპორტის სასახლეც ისევ შეივსება, როგორც ბევრჯერ შევსებულა ხელბურთზე.

# ნიკა ამაშუკელი: „არგენტინაში 100 პროცენტით შევიცვალე“

მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე უმცროსმა ბორჯღალოსნებმა კიდევ ერთხელ ასახელეს ქართული რაგბი და გაისად ამ ტურნირში ზედიზედ მეხუთედ ვითამაშებთ, თუმცა წლევანდელი ტურნირი სხვა კუთხითაც იყო გამორჩეული.

ნიკა ამაშუკელი გახდა პირველი ქართველი მსაჯი, რომელმაც მსოფლიო რაგბის რანგით მეორე ტურნირზე იმუშავა და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ის საფრანგეთი-ფიჯის, ახალი ზელანდია-შოტლანდიისა და ინგლისი-უელსის თამაშებს მოემსახურა. ტურნირის დასრულების შემდეგ, მას ევროპის პროფესიული საკლუბო რაგბის მსაჯების ხელმძღვანელი ჟოელ ჟუში ესაუბრა და ჩელენჯ ქაფის ჯგუფურ ეტაპზე მიიწვია.

ამაშუკელი ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირის, ჩელენჯ ქაფის ჯგუფურ ეტაპზე ექვსიდან 4 თამაშს მოემსახურება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გვერდითი მსაჯებიც ქართველები ეყოლება. ქართული სამსაჯო ბრიგადის ასეთ დონეზე წარმოჩენა უმნიშვნელოვანესია, რადგან იქ მიღებული გამოცდილება, სამომავლოდ შიდა რაგბის განვითარებას დაეხმარება.

**ნიკა ამაშუკელი:**

– სიტყვებით შეუძლებელია იმ ემოციების გადმოცემა, რასაც არგენტინაში განვიცდიდი. ეს იყო ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, რადგან ვმსაჯობდი ძალიან მაღალი დონის ტურნირზე, რომელშიც მომავალი ვარსკვლავები თამაშობდნენ. არგენტინაში იყო მსოფლიო რაგბის ყველა მაღალჩინოსანი და პასუხისმგებლობასთან ერთად, ვიყავი ამაყი, რადგან სამსაჯო კუთხით ჩემს ქვეყანას წარმოვადგენდი. ეს ისეთივე შეგრძნება იყო, როგორც ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში, რადგან მაშინაც და ახლაც ჩემი ქვეყნის სახელს ვიცავდი.

ამაშუკელი, შოთა თევზაძესთან ერთად, 20-წლამდელთა ჩემპიონატზე 2 წლის წინაც მსაჯობდა, როდესაც ტურნირს საქართველომ უმასპინძლა, თუმცა მაშინ ორივე გვერდითი მსაჯი იყო:

– ჩემთვის საყვარელ თამაშთან აქამდე ასე ახლოს არასდროს ვყოფილვარ. უამრავ ისეთ დეტალთან მქონდა შეხება, რომლის შესახებ აქამდე არაფერი ვიცოდი. 2 წლის წინ, საქართველოში გამართულ 20-წლამდელთა ჩემპიონატზე გვერდითი მსაჯი ვიყავი და იმ დროისთვის ეს ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო ფაქტი იყო, თუმცა რომ შევადარო 2 წლის წინანდელი და ახლანდელი ჩემი თავი, უზარმაზარი სხვაობაა. ამ პერიოდში დიდი გამოცდილება დამიგროვდა და ალბათ, კიდევ მომდევნო 2 წელიწადში იგივეს ვიტყვი.



არგენტინაში გატარებულმა დღეებმა, როგორც ადამიანს და როგორც მსაჯს, ბევრი რამ შემძინა. უამრავ ნიუანსს და დეტალს ჩავუღრმავდი და რაგბი სულ სხვა კუთხით დავინახე. წესებისა და ჟესტიკულაციის გარდა, დიდი ყურადღება ექცეოდა თამაშის გრძნობას. მსაჯი თამაშს იმისთვის ემსახურება, რომ მაყურებელმა კარგი სანახაობა იხილოს. არგენტინაში მართლაც ფასდაუდებელი გამოცდილება შევიძინე. იქ წასვლამდე და მას შემდეგ ნიკა ამაშუკელს თუ შევადარებთ, 100%-ით შეცვლილი ვარ, როგორც მსაჯი და როგორც ადამიანი.

იქ არა მხოლოდ მოედანზე, არამედ მის მიღმაც დაკვირვების ქვეშ ვიყავით. მსაჯი მოედანს მიღმაც გუნდის წევრი უნდა იყოს, სულ იღიმოდეს, მონატრებას არ იმჩნევდეს, მხოლოდ რაგბიზე არ უნდა იყოს ორიენტირებული და განტვირთვაც სათანადოდ უნდა ეხერხებოდეს.

ამაშუკელი პირველი ქართველია, რომელმაც ცოტა ხნის წინ 6 ერის კარი შეაღო და ინგლის-იტალიის მატჩი იმსაჯა, ახლა კი თამასა კიდევ უფრო აწია და, მართალია, აქაც ჯერ 20-წლამდელებში, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე იმსაჯა:

– ინგლისის ნაკრები აქაც და 6 ერზეც ძალიან კარგი, დისციპლინირებული გუნდი იყო. მათ არგენტინაში 5-დან 4 თამაში მოიგეს, მაგრამ მხოლოდ მე-5 ადგილს დასჯერდნენ. ინგლისელებმა მიცნეს და გულთბილი შეხვედრა გვქონდა, მოიკითხეს ჩემი გახეული წარბი. ინგლისის მწვრთნელი უელსთან თამაშის შემდეგ ჟოელ ჟუშთან მივიდა და უთხრა, ეს ბიჭი -6 ერზეც მომეწონა და ახლაც. გაკვირვებული ვარ, რადგან ქართველია და ამ დონეზე შეუძლია თამაშის წარმართვაო. ყველამ ვიცოდით, რომ ჯგუფურ ეტაპზე 2-2 თამაშის მსაჯობა მოგვიწევდა და იმის მიხედვით, ვინ როგორ გავართმევდით თავს, მოხდებოდა დანიშვნა ფლეი ოფებზე.

პირველ ტურში საფრანგეთი-ფიჯი ვიმსაჯე, სადაც დებიუტანტი ფიჯი ჩემპიონთან ძალიან კარგად წარდგა. ფიჯის ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავდა. მერე იყო ახალი ზელანდია-შოტლანდია და ბოლოს ბრიტანული დერბი – ინგლისი-უელსი, პრინციპული დაპირისპირება და ეს იყო დიდი ნდობა ქართველი მსაჯის მიმართ. პირდაპირ მითხრეს, რომ ჩემგან ასეთი მაღალი ხარისხის მსაჯობას არ ელოდნენ და ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის რეპუტაცია ძალიან გაიზარდა.

ყველა თამაში კარგად წავიდა და დამკვირვებლებისგან, რომლებიც არგენტინაში მრავლად იყვნენ, უმაღლესი შეფასებები მივიღე. მსაჯთა დამკვირვებლებმა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ გოჩა სვანიძეს და ვიცე-პრეზიდენტ გიორგი გორგასლიძეს მადლობა გადაუხადეს. ისინი აკონტროლებდნენ თითოეულ მოძრაობას, სიტყვას, ტონს, გამოხედვას და ა.შ. სტრესი იმდენად დიდი იყო, რომ მე-3 სათამაშო დღის შემდეგ გასართობად წასვლა და ერთი დღით რაგბის დავიწყება მოგვთხოვეს. აღმოჩნდა, რომ ესეც ჩვენი სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ ტურნირმა ნათელი სურათი დამიხატა და ახლა უკვე ზუსტად ვიცი რაზე უნდა ვიმუშაო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ასეთმა მიდგომამ და უმაღლესმა შეფასებებმა ნიკა ამაშუკელს კიდევ უფრო მაღალი დონის ტურნირებისა და თამაშებისკენ გზა გაუხსნა. ის ქართველ სამსაჯო ბრიგადასთან ერთად, უკვე მიწვეულია ჩელენჯ ქაფის ჯგუფური ეტაპის 4 მატჩზე იმ პირობით, რომ რთულ თამაშებს მოემსახურება.

არგენტინაში ყოფნისას და მუშაობისას ამაშუკელი მუდამ გრძნობდა ქართველი ხალხის თანადგომას, რისთვისაც ის გულშემატკივრებს განსაკუთრებით ემადლიერება:

– საერთაშორისო დონეზე მსაჯობისას უდიდესი კონკურენციაა და ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ, რათა ქართული სამსაჯო სკოლა უმაღლეს დონეზე წარვადგინოთ. მინდა მადლობა გადავუხადო რაგბის კავშირს და სამსაჯო კომიტეტს, რომელიც მუდამ მხარში გვიდგას. დიდი მადლობა ქართველ ხალხს, რომლისგანაც უდიდეს სითბოს ვგრძნობდი. მსაჯისთვის მხარდაჭერა ისეთივე აუცილებელია, როგორც მოთამაშისთვის და მე მათი თანადგომა ნამდვილად არ მაკლდა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბასილაშვილი უიმბლდონს დაემშვიდობა



უიმბლდონის ღია პირველობაზე, რომლის საპრიზო ფონდი 23.500.000 ევროა, ველარ გააგრძელებს თამაშს ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი.

მე-18 ნომრად განთესილი ბასილაშვილი მე-2 წრეში ბრიტანელ დანიელ ევანსს შეხვდა და 3 სეტში 3:6, 2:6, 6:7 დამარცხდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი 3 სეტში დასრულდა, თამაში 2.5 საათს მაინც გაგრძელდა.

პირველ სეტში დაპირისპირება იმით დაიწყო, რომ ქართველმა ჩოგბურთელმა საკუთარი მოწოდება წააგო, მაგრამ მაშინვე დაიბრუნა. თუმცა, 3:3-ზე ნიკამ საკუთარი მოწოდება ისევ „აჩუქა“ მეტოქეს, შემდეგ კი იგივე გაიმეორა და 3:6.

მეორე სეტის პირველივე მოწოდებაზე ნიკას ბრეიქი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. შემდეგ კი სეტი ბრიტანელის უპირატესობით წარიმართა, რომელმაც ნიკას ორჯერ აართვა მოწოდება – 2:6.

ნიკამ მესამე სეტიც ცუდად დაიწყო. პირველი გეიმი მან მხოლოდ 0:3-ზე მოიგო. 3:5-ზე ქართველმა ჩოგბურთელმა მეტოქის მოწოდებაზე 2 მატჩ-პოინტი გადაარჩინა და 5 ბრეიქპოინტიდან ერთი გამოიყენა. ბასილაშვილმა 4 მატჩ-პოინტი გადაარჩინა სეტში და საქმე ტაი ბრეიქამდე მიიყვანა, მაგრამ იქ ძალიან ცუდად ითამაშა და 2:7 დათმო.

# საქართველომ ბელარუსი დაამარცხა



**საქართველო-ბელარუსი 88:59**

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ციკლში მორიგი მატჩი გამართა. მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილმა ჩვენმა გუნდმა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ბელარუსის ნაკრებს უმასპინძლა და საკმაოდ იოლად – 88:59 დაამარცხა. ქართველებმა ბელარუს თანატოლებს შანსი არ დაუტოვეს და, პირველივე პერიოდში რომ გალიდერდნენ, საკუთარი უპირატესობა მცირე ხნითაც არ დაუთმიათ.

ბელარუსის ნაკრები საქართველოში 2 ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ჩამოვიდა და გლიგორიევიჩის გუნდს კიდევ ერთხელ გაეჯიბრება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის (ბ დივიზიონი) ემზადება, რომელიც 12-21 ივლისს პორტუგალიის ქალაქ პორტოში გაიმართება.

ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში 21 გუნდია, რომლებიც 4 ჯგუფში არიან განაწილებულნი. საქართველო 6-გუნდიან, ც ჯგუფში მოხვდა შვედეთთან, ჰოლანდიასთან, ესტონეთთან, კოსოვოსა და სომხეთთან ერთად. თითო ჯგუფიდან ფლეი ოფში 2 საუკეთესო გადის და აგრძელებს ბრძოლას ტურნირის სამეულში მოსახვედრად. გათამაშების ფორმატის თანახმად, ბ დივიზიონის საუკეთესო 3 გუნდი შემდეგი, 2020-21 წლების სეზონისთვის ელიტურ ა დივიზიონში იასპარეზებს.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა აქამდე საწვრთნელი შეკრება სლოვენიასა და უკრაინაში გამართა, სადაც მთლიანობაში 5 საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ბელარუსთან შეხვედრაში ქართველებმა დიდებულად ითამაშეს, რაც გამარჯვების საფუძველი გახდა. თუმცა მოგება არაა ჩვენი გუნდის და სამწვრთნელო შტაბის მთავარი მიზანი. მილოშ გლიგორიევიჩი ასისტენტებთან – ირაკლი ძიძიგურთან და ჯაბა ბაქრაძესთან ერთად გუნდის სათამაშო ტაქტიკასა და კომბინაციებს ამუშავებს, რათა ევროპის ჩემპიონატს ოპტიმალურ ფორმაში შეხვდეს.

რაც შეეხება მატჩის გამორჩეულ მოთამაშეებს, აღსანიშნავია კოკა ფიფიას ზუსტი მიზანი, რომელმაც პირველ პერიოდში 3 3-ქულიანი ჩააგდო და სათავე დაუდო საქართველოს ნაკრების მყარ ლიდერობას. საბოლოოდ ფიფიამ 17 ქულა მოაგროვა, ხოლო ნიკა მეცხვარიშვილის ანგარიშზე 14 ქულა დაგროვდა.

მილოშ გლიგორიევიჩმა თითქმის ყველას მეტ-ნაკლებად თანაბარი სათამაშო დრო მისცა და ქულების მითვლა ყველა მათგანმა შეძლო.

# კვარაცხელიას ყაზანში დავითაშვილი ეხმარება



ქართველი ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია უკვე ყაზანშია და იქაურ რუბინში ვარჯიშობს. ქართველი ვუნდერკინდის გამოჩენამ ადგილობრივი მედია დააინტერესა და კლუბის ვებგვერდზე პირველი ინტერვიუც გაჩნდა.

**ხვიჩა კვარაცხელია:**

– ვიცი, რომ რუბინში არაერთ ქართველს უთამაშია და იმედი მაქვს, სწრაფად შევძლებ გუნდთან ადაპტირებას და შევეცდები, სარგებლობა მოვუტანო მას. ვისაუბრე მწვრთნელთან. რომან სერგეევიჩ შირონოვიმა დამისახა ამოცანები, თუ რაზე უნდა ვიმუშაო. ერთმანეთს გავუგეთ. მოუთმენლად ველი მომავალ წვრთნას.

კვარაცხელიას გუნდში კიდევ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი, ზურიკო დავითაშვილი დახვდა, რომელმაც რუბინთან კონტრაქტი ცოტა ხნის წინ გააფორმა. ხვიჩა და ზუკა ერთმანეთს ჯერ კიდევ თბილისის დინამოში ერთად გატარებული პერიოდიდან იცნობენ.

– რუბინში პირველივე დღიდან გვერდით მყავს მეგობარი – ზურიკო დავითაშვილი. მე და ზუკას ერთად მთელი ბავშვობა გვაქვს გატარებული თბილისის დინამოში და დღეს ნამდვილი მეგობრები ვართ. მან უკვე მოასწრო, ჩემთვის ეჩვენებინა მთელი ბაზა და გაეცნო თანაგუნდელები.

ხვიჩა კვარაცხელიამ, რომელიც რუსთავის ფეხბურთელი იყო, გასული სეზონის მე-2 ნახევარი მოსკოვის ლოკომოტივში იჯარით გაატარა. იყო მოლოდინი, რომ ქართველ ფეხბურთელსა და მოსკოვურ კლუბს შორის სრულფასოვანი კონტრაქტი გაფორმდებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში ასე არ მოხდა და ხვიჩა ყაზანში აღმოჩნდა.

– ბოლო ნახევარი წელიწადი მოსკოვის ლოკომოტივში გავატარე. ეს დიდებული დრო იყო. იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ რუბინი დამიკავშირდა. ყაზანურმა წინადადებამ მომხიბლა, რადგან ჩემს ასაკში პროგრესი და მუდმივი სათამაშო პრაქტიკაა საჭირო. თუმცა იმასაც ვხვდები, რომ შემადგენლობაში დასამკვიდრებლად ბრძოლა მომიწევს. ჩემი მთავარი ამოცანა განვითარებაა, მინდა, ზრდა გავაგრძელო, მოვუმატო თამაშს და, რა თქმა უნდა, დავეხმარო ჩემს ახალ გუნდს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ასტროპროგნოზი

## 6 ივლისისთვის



**ვერძი** – მოულოდნელობებითა და ახალი თავგადასავლებით დატვირთული დღეა. ნუ გარისკავთ. **კურო** – დღეს ქალებს განსაკუთრებით უმართლებთ. მოსალოდნელია კარიერული წინსვლა, ფინანსური კეთილდღეობა. **ტყუპები** – იოლად არავის მიენდოთ. დიდია მოტყუების ალბათობა. ეცადეთ, თქვენი უნარები სრულყოფილად წარმოაჩინოთ. **კირჩხიბი** – კეთილისმყოფელი პერიოდი გაქვთ. პირადი მომხიბვლელობა და სითამამე მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. **ლომი** – საეჭვო ნაცნობებთან ურთიერთობას ერიდეთ. ნეგატიური დღეა, თუმცა თქვენი განცდები ამაოა. ყველაფერი მალე გაივლის. **ქალწული** – შორს გამგზავრება დროებით გადადეთ. დაისვენეთ ოჯახურ გარემოში. **სასწორი** – ცდუნებასა და პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. კრიზისულ სიტუაციებში თქვენი საუკეთესო მრჩეველი ცივი გონებაა. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტისაგან თავი შეიკავეთ. უსიამოვნებებს ფილოსოფიურად მიუდექით. **მშვილდოსანი** – დღეს მხოლოდ მთავარი საქმე აკეთეთ. ენერგია დაზოგეთ. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **თხის რქა** – დაკისრებული სამუშაო ყურადღებით შეასრულეთ. დღეს დაშვებული შეცდომის გამოსწორება გაგიჭირდებათ. **მერწყული** – შემოქმედებითი არეალი ფართოვდება. საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენეთ. **თევზები** – ყურადღებითა და მშვიდად იყავით. ყოველ წვრილმანს ჩაუღრმავდით.

## 7 ივლისისთვის

**ვერძი** – პროფესიულ სფეროში ძველი მეთოდების გამოყენებას გირჩევთ. ექსპერიმენტებისაგან დროებით თავი შეიკავეთ. **კურო** – ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით. შესაძლოა, კომპრომისზე წასვლაც მოგიხდეთ, რაც საქმეს არგებს. **ტყუპები** – წარმატებული დღეა. საქმე მოთმინებითა და შემოქმედებითად აკეთეთ. ახლობელ ადამიანთან კამათს ერიდეთ. **კირჩხიბი** – დაისვენეთ სულიერად, იკითხეთ წიგნები, წადით თეატრში. საკუთარი პოზიციის გამოხატვისას არ აჩქარდეთ. **ლომი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მზად იყავით მოულოდნელი სასიამოვნო ცვლილებებისათვის. **ქალწული** – საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით იმოქმედეთ. სხვების რჩევებს ყურს ნუ დაუგდებთ. გიმახვილდებათ ინტუიცია. **სასწორი** – კომერციულ სფეროში იაქტიურეთ. ნებისმიერი საქმიანი ურთიერთობა წარმატებას მოგიტანთ. **ღრიანკალი** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. დაშვებული შეცდომებისგან სათანადო დასკვნები გააკეთეთ. **მშვილდოსანი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ფიზიკურად ნუ დაიტვირთებით. გიმართლებთ სასიყვარულო ურთიერთობებში. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია. დღეს განმარტოება და დასვენება გჭირდებათ. **მერწყული** – მეგობრების იმედი იქონიეთ. ნებისმიერ შემთხვევაში მათი დახმარება დაგჭირდებათ. დღეს დადებული საქმიანი გარიგებები საკმაოდ მტკიცე იქნება. **თევზები** – თავს კარგად გრძნობთ. თუ სამოგზაუროდ წასვლას გადაწყვეტთ, საგულდაგულოდ მოემზადეთ. აჩქარება არ ივარგებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# სპილოსთვის სურათის გადაღების მცდელობა გოგონას სახეში ხორთუმის გარტყმად დაუჯდა



ზამბიაში სპილო მოულოდნელად თავს დაესხა გოგონას. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ის მასთან შეხვედრის ტელეფონით გადაღებას აპირებდა. მომხდარის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ტურისტები აშშ-დან პატარა ღობესთან იდგნენ, რომლის მიღმაც აფრიკული სპილო იმყოფებოდა. როდესაც ცხოველმა ხორთუმი გაიწვდინა მათკენ, მათ პასუხად გაუღიმეს და ხელი გადაუსვეს. ერთ-ერთმა გოგონამ ამ დროს ტელეფონი ამოიღო სამახსოვრო კადრის გადასაღებად. ამ მომენტში სპილომ ხორთუმი ნელ-ნელა გასწია და რამდენიმე წამის შემდეგ ტურისტ გოგონას ხორთუმით უბიძგა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ გოგონა მის უკან მდგომ ყმაწვილს ხელებში ჩაუვარდა.

ამის შემდეგ სპილომ ხორთუმი მიწაზე დაგდებული ტელეფონისკენ გაიწვდინა, ერთ-ერთმა ტურისტმა დაიყვირა, ვიდეორგოლის ავტორმა კი მისი აღება მოასწრო. ვიდეორგოლის ბოლო კადრებში სპილო ყურებს აპარტყუნებს და მძლავრ ხორთუმს აქეთ-იქით იქნევს.

# მამაცმა კატამ ბავშვები კობრის თავდასხმისგან გადაარჩინა



ინდოეთში შინაურმა კატამ ბავშვები შხამიანი კობრის თავდასხმისგან გადაარჩინა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა საინფორმაციო პორტალმა გამოაქვეყნა.

2 ივლისს გადაღებულ ვიდეოზე, ჩანს, რომ კატა პატარა შხამიან გველს ებრძვის. ბოლო კადრებში კი ჩანს, თუ როგორ გაჰყავს კატას სახლში შეპარული ქვეწარმავალი ქუჩაში. მას უკან მიჰყვა მისი პატრონი არუნ ჩანდრუ და მაშინვე გველებზე მონადირე გამოიძახა.

ჩანდრუს თქმით, სპეციალისტმა კობრა დაიჭირა და ის მოშორებით ისეთ ადგილას გაუშვა, სადაც ადამიანებს საფრთხეს არ შეუქმნის.

– აქ ბავშვები დარბიან და გველს შეეძლო, ისინი დაეკბინა, – განაცხადა მამაკაცმა, – აქამდე ვიცოდი, რომ ჩემი კატა ჭკვიანი და მხიარული იყო, ახლა კი უკვე ვიცი, რომ მამაციც ყოფილა.

კატა გველთან ორთაბრძოლის დროს არ დაშავებულა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. იაპონური ავტომობილი; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. ჭაობის მცენარეთა ლპობის შედეგად წარმოქმნილი მკვრივი მასა, იყენებენ საწვავად, სასუქად; 5. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 8. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვან მცენარეთა საერთო სახელწოდება; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 13. რაიმე რიცხვის მეათასედი ნაწილი; 14. ქართული ტელეკომპანია; 15. მონასტერი ქსნის ხეობაში; 19. გარეული ღორი.

**თარაზულად:** 1. ციტრუსთა მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 4. რადიოს ერთ-ერთი გამომგონებელი იტალიელი რადიოტექნიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 9. საკარმიდამო მამული ბრაზილიაში; 10. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად; 12. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 16. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 17. აეროპორტი ოსლოში; 18. პროფესიონალი დამსმენის, ჯაშუშის სახელწოდება ძველ საბერძნეთში; 20. ბრაზილიის ნაკრებისა და პარიზის „პ.ს.ჟ.“-ს ფეხბურთელი; 21. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 22. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. კამბოჯა; 2. ნოვარტისი; 3. რეცენზია; 4. სტაფილო; 5. ჯალიტა; 9. სპაზმი; 11. ბარტერი; 12. ფილტრი; 14. ბონდერი; 18. იმოლა; 19. ხარკი.

**თარაზულად**: 4. საღამო; 5. ჯოკოვიჩი; 6. ვერძი; 7. ტარაბუა; 8. ფაზისი; 10. დერბი; 13. ჯიბუტი; 15. ტატამი; 16. იუტა; 17. ცემი; 20. დივანი; 21. პითონი; 22. პოლგარი; 23. კულუხი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პედელი; 2. ოპტიკა; 3. კაფკა; 5. დოლი; 6. კაჭიჭი; 8. სიესტა; 11. ანჩისხატი; 13. გუდაური; 14. იოკასტე; 15. ჰამსუნი; 19. თითა.

**თარაზულად**: 1. პინაკოთეკა; 4. ბოტდეკი; 7. დეკრეტი; 9. კალიარი; 10. ტანკი; 12. ვესტერნი; 16. ლაგოდეხი; 17. ედისონი; 18. პალეოლითი; 20. ტალანტი; 21. ფითი; 22. საქსაული.

# მიხეილ გიორგაძე: „მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო თანამდებობა“



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილე მიხეილ გიორგაძემ თანამდებობის დატოვა გადაწყვიტა.

სახელმწიფო სამსახურში საქმიანობას მან კერძო სექტორში დაბრუნება ამჯობინა:

— მსურს, ჩემთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ გაცნობოთ. იცით, რომ 5 წლის წინ დავიკავე კულტურის მინისტრის თანამდებობა და ამ ხნის განმავლობაში ჩემი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება ჩვენი ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროს დავუთმე. შემდეგ შემოგვიერთდა ასევე უმნიშვნელოვანესი — სპორტის სფერო და მეამაყება, რომ ამ მიმართულებითაც ბევრ და დიდ წარმატებას მივაღწიეთ!

დღეს კი მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა და კერძო სექტორში დავბრუნდე. ვფიქრობ, 5 წელი ამხელა პასუხისმგებლობის თანამდებობაზე არის სრულიად საკმარისი, რომ მაქსიმალური რესურსი ჩადო შენს საქმეში და დადო ის შედეგი, რომლის მიღწევაც შევძელით. ასევე, დროა ადგილი ახალ ადამიანებს, ახალ ენერგიას დავუთმო.

მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო კულტურისა და სპორტის სფეროში მოღვაწე ადამიანებს, ჩვენს გუნდს, ჩემს კოლეგებს, თითოეულ იმ პროფესიონალს, ვისთან ერთადაც ამ წლების განმავლობაში ვმუშაობდი! სადაც არ უნდა ვიყო, მე ყოველთვის დავრჩები ამ გუნდის ერთგულ წევრად, რადგან მიმაჩნია, რომ ის გეზი, რომელიც ავირჩიეთ, არის სწორი და, სირთულეების მიუხედავად, მიღწევადი. კიდევ ერთხელ ყველას დიდი მადლობა! გისურვებთ წარმატებებს!

# ქეთევან კიკნაძემ თამრიკო ჭოხონელიძეს მოღალატე უწოდა



მსახიობმა ქეთევან კიკნაძემ მომღერალ თამრიკო ჭოხონელიძეს მოღალატე უწოდა. ამის მიზეზი მომღერლის მიერ რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის ფარგლებში დაგეგმილ კონცერტში მონაწილეობა გახდა, სადაც შვილიშვილებთან ერთად სიმღერა „საქართველოო, ლამაზო“ შეასრულა.

**ქეთევან კიკნაძე:**

— თამარა ჭოხონელიძე, მე არ ვიცი, სამშობლოს მოღალატე ხარ თუ არა, მაგრამ შენი სინდის-ნამუსის მოღალატე რომ ხარ, ეს ნაღდია. რა გაწყენინა ბიძინამ? შენი ცხოვრება რომ შეცვალა? რა ვერ აისრულე?

# პოეტი ზურა ბუდაღაშვილი დააკავეს



ახალგაზრდა პოეტი ზურა ბუდაღაშვილი დააკავეს.

ინფორმაცია ამის შესახებ მისმა მეგობარმა ხვიჩა აბაშიძემ გაავრცელა:

— ეს ბიჭი არის ზურა ბუდაღაშვილი, ჩემი უახლოესი მეგობარი, ძალიან კარგი ადამიანი, გულანთებული პატრიოტი და უზომოდ ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი.

დღეს ზურა დააკავეს 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით.

კადრების გამო, სადაც ჩანს, რომ ორმხრივი ჩხუბი მიმდინარეობს მომიტინგეებსა და პოლიციას შორის, ზურას, ისევე, როგორც დანარჩენ დაკავებულებს, 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ზურას, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს მსჯავრდებული იყო და სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ცხოვრება დაუმახინჯეს, დღეს იმავეს ახალი მთავრობა უგრძელებს.

და არა მარტო ზურას, ახალგაზრდებს სიცოცხლეს გვართმევენ სხვადასხვა მიზეზით და შემდეგ ერთმანეთს აბრალებენ. ხან ნაცების მოწყობილი პროვოკაცია და სისხლიანი 9 წელი, ხან ამ .ლეების არაკომპეტენტური, არაჯანსაღი და ბოროტი მმართველობა.

მე პირადად თითოეულ ჩემს დღეს ვიბრძოლებ ყველანაირი ხერხით ზურასთვის და დანარჩენი ბიჭებისთვის.

და შენც, ნეიტრალურო მოქალაქევ, თუ კიდევ დარჩი ვინმე და სალი აზროვნების უნარი შეგწევს. ასწიე ტრაკი და იბრძოლე ჩემთან და ჩვენთან ერთად უკეთესი მომავლისთვის. საქართველო მხოლოდ ნაცებად და ქოცებად არ იყოფა.

# ზუმბა: „მარტო გახარია კი არა, სულ ყველა გადადექით!“



მომღერალი ზაზა კორინთელი, იგივე ზუმბა ამერიკიდან მიმართავს ხელისუფლებას და მარტო გიორგი გახარიას კი არა, ყველას გადადგომას ურჩევს:

— მარტო გახარია კი არა, სულ ყველა გადადექით და გზა დაუთმეთ ახალ, წარმატებულ, პასუხისმგებლიან, ნიჭიერ და თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს!

# მწერლები ლიტერატურის ფონდს ბოიკოტს უცხადებენ



მწერლები, გამომცემლები და ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლები ახლად შექმნილ ლიტერატურის ფონდს ბოიკოტს უცხადებენ.

მწერლები, გამომცემლები და მთარგმნელები აპროტესტებენ იმას, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ მათთან თანამშრომლობის გარეშე დახურა ორი ყველაზე წარმატებული ორგანიზაცია — მწერალთა სახლი და წიგნის ეროვნული ცენტრი, რომლის მთავარი ბენეფიციარებიც ისინი არიან.

მწერლები სრულ თანადგომას უცხადებენ მწერალთა სახლისა და ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის უკვე ყოფილ დირექტორებს — ნატაშა ლომოურსა და დეა მეტრეველს.

**ლაშა ბუღაძე, მწერალი:**

— ჩვენ სინამდვილეში ვლაპარაკობთ მწერლების დასჯაზე, მწერლების მოთვინიერებაზეც პირდაპირი ამ სიტყვის მნიშვნელობით, იმიტომ რომ ჩვენ ვისჯებით და ეს, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, კავშირშია შინაგან საქმეთა მინისტრ გახარიასთან. ვისაც ახსოვს ფრანკფურტის ბაზრობის მოვლენები, ვისაც ახსოვს, რა მძიმე შეხვედრა გვქონდა ჩვენ და როგორ მოგვივარდა მინისტრი გახარია, ასე ვთქვათ, საქმის გასარჩევად ინტელიგენციასთან და ისიც ახსოვთ, თუ როგორ წავიდა იქიდან და შემდეგ როგორ სთხოვდნენ პასუხს, რომ დაესაჯა ის პოლიციელები, რომლებმაც იძალადეს ზვიად რატიანზე და ყველამ იცის, ზვიად რატიანი დღე სად არის და რატომ არის და ამაზე დღეს არანაირი რეაგირება არ ყოფილა.

ამხანაგი გიორგაძე და ეს ჩინოვნიკობა ამდენს ვერ გაბედავდა, თავს ნუ მოვიტყუებთ, ეს არის პირდაპირი დირექტივა, რომელიც მოდის ზემოდან, როგორც სასჯელი.

ჩვენ 3 დღის განმავლობაში ვითხოვდით დალაპარაკებას, შეკითხვებზე პასუხის მიღებას, რა ბედი ელის წიგნის ცენტრს, მწერალთა სახლს. ფრანკფურტის ბაზრობის შემდეგ უდიდესი შანსი გაუჩნდა საქართველოს და პასუხად ვიღებთ იმას, რომ დახურულ კაბინეტებში რაღაც გადაწყვეტილებებს იღებენ სრულიად არაკომპეტენტურად, აბსოლუტურად გაუაზრებლად. რისი მცოდნეებიც არიან, ჩვენ ვნახეთ შარშან. გოგოებს რომ არ ემარჯვათ, ჩაფლავდებოდა ფრანკფურტის ბაზრობა. სინამდვილეში, ეს არ არის კომპეტენტურობის საკითხი. ეს არის პოლიტიკური საკითხი. ეს არის კავშირში გახარიასთან და ესენი არიან პირდაპირ აღმასრულებლები და შემსრულებლები გახარიას ბრძანების. რისი მაქნისია გიორგაძე, ვნახეთ კარგად, მანანა ბერიკაშვილს ვერ უშვებდა — ერთ დღეს რომ უშვებდა, მეორე დღეს აბრუნებდა. ესენი არიან კარიკატურები, ყველაფერზე ხელის მომწერები.

ჩვენ ვერ ვხვდებით, რანაირად უნდა მოხდეს თანამშრომლობა, როგორ უნდა გაგრძელდეს ურთიერთობა, მით უმეტეს, ასეთი დიდი პასუხისმგებლობების პირობებში, რომელიც ქართულ ლიტერატურას აკისრია უკვე საზღვარგარეთ, რანაირად უნდა მოხდეს საქმის გაგრძელება.

20 ივნისი როგორი დღეა, ყველამ ვიცით, რა მოხდა 20 ივნისს და ახლა ჩვენ ზღაპრებს გვიყვებიან, რომ სინამდვილეში თურმე ყველაფერი ძალიან კარგად არის და ბედნიერები უნდა ვიყოთ. როდის უთქვამთ მათ სიმართლე, რომ ახლა დავუჯეროთ? არანაირ სტრუქტურაზე ფიქრი არ არის, ამიტომ თავს ნუ მოვიტყუებთ.

**არჩილ ქიქოძე, მწერალი:**

— ეს ორი ორგანიზაცია გვჭირდება ჩვენ და, წესით, უნდა სჭირდებოდეს სახელმწიფოსაც. ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს მეტი. ის, რომ ჩვენ ფრანკფურტში კარგად ვჩანდით, ჩვენ კი არ ვჩანდით, შესაბამისად, ქვეყანა ჩანდა, უბრალოდ, ჩვენ უფრო სიმპათიურები ვიყავით, ვიდრე ჩვენი მთავრობა.

რაც შეეხება მწერალთა სახლს, სანამ ნატა არ მოვიდა, მე ამ შენობაში ნამყოფი არ ვიყავი. გაიხსნა ეს სივრცე და გახდა ყველასთვის საყვარელი. ნამდვილად ვუერთდები მოსაზრებას, რომ აღდგეს სტატუსკვო.

**ნატაშა ლომოური, მწერალთა სახლის ყოფილი ხელმძღვანელი:**

— ის, რაც ხდება ჩვენთან, არის იმ ბრძოლის ნაწილი, რაც გარეთ, რუსთაველის გამზირზე მიდის.

მწერალთა სახლი, ისევე, როგორც წიგნის ეროვნული ცენტრი, 20 ივნისს რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მწერალთა სახლი ან ინგრევა, ან იყიდება, ან ბანკად, ან მაღაზიად უნდა გადაიქცეს. დეკლარირებულად ფურცელზე მწერალთა სახლისა და წიგნის ეროვნული ცენტრის უფლებამონაცვლედ შექმნილი ლიტერატურული ფონდის დებულება ითვალისწინებს ლიტერატურული პროცესების განვითარებას და შეიძლება, ერთი შეხედვით, ჩანდეს, რომ კიდევ უფრო მეტი ფუნქცია და კიდევ უფრო კარგ მომავალს გვიქადის, მაგრამ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი, ამას აქვს დიდი მნიშვნელობა. ეს მოხდა ფორსირებულად, ჩუმად, მოტყუებით, ორ დღეში... დაპირების მიუხედავად, რომ მე და მედეა მეტრეველს მოგვეცემოდა საშუალება, ჩავრთულიყავით ამ სტრუქტურის შემუშავების პროცესში, არ შესრულდა. ეს დაპირება მიშა გიორგაძემ და ლევან ხარატიშვილმა საკუთარ კაბინეტში მოგვცეს. ველოდით მათ, რომ დაგვიძახებდნენ, მაგრამ იმეილით მოგვივიდა სტრუქტურა, სახელფასო განაკვეთი, დებულება და ა.შ. არ ჩაგვრთეს ჩვენ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ ჩაგრთეს თქვენ, იმიტომ რომ წიგნის ცენტრის შექმნასაც და მწერალთა სახლის შექმნასაც თავის დროზე ძალიან დიდი და ხანგრძლივი კონსულტაციები უძღოდა წინ, როგორც ვიცი, მთავარი ბენეფიციარების ჩართვით. გაუქმებას კი არ მოჰყოლია არც ერთ მწერალთან არანაირი კონსულტაცია. ეს მოხდა ჩინოვნიკების კაბინეტში.

მწერალთა სახლის შემთხვევაში საერთოდ გამორჩენილია სამუზეუმო საკითხი. არ გეგონოთ, რომ დავით სარაჯიშვილის მუზეუმი ან რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმი არის ჩემი აკვიატება. ეს არის ხედვა, რომელიც ყველა მინისტრთან მაქვს გავლილი და ყველას აქვს თავი დაქნეული. ეს არის ჩვენი მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მუზეუმი. ეს არ არის ჩვეულებრივი მუზეუმი. ეს არის განათლების ორი ძალიან მნიშვნელოვანი კერა. ახალ დებულებაში კი მუზეუმი საერთოდ ნახსენები არ არის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე მერაბ უძილაური, შვილები გიორგი, გოჩა, თამარ და თინათინ უძილაურები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ნატალია ნიკოლოზის ასულ კობახიძის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 6, 7, 8 ივლისს.

მისამართი: თბილისი. სამგორის მეტროს ზედა ამოსასვლელი. ჯიქიას (ყოფილ ზანდუკელის) ქ. 37.

გამოსვენება: სამშაბათს, 9 ივლისს, 14 საათზე საბურთალოს ახალი სასაფლაოს წმ.ნინოს სახელობის ეკლესიიდან.

„ახალი თაობა“ სამძიმარს უცხადებს გიორგი უძილაურს დედის

**ნატალია კობახიძის**

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## სიცხისგან მიდიები საკუთარ ნიჟარებში მოიხარშნენ



ამერიკის კალიფორნიის სანაპიროზე ექსტრემალურმა სიცხეებმა ბოლო 15 წლის განმავლობაში მიდიების რეკორდული დაღუპვა გამოიწვია.

ჯეკი სონსმა, ქალაქ ბოდეგა-ბეიში ზღვის ნაკრძალის გამოცდილმა კოორდინატორმა მკვლევარმა, თავისი მუშაობის განმავლობაში პირველად ნახა ზღვის სანაპიროზე დამწვარი ნიჟარებში ჩახარშული მიდიები.

მოლიუსკები საკუთარ ნიჟარებში ყოველგვარი ცეცხლის გარეშე 37 გრადუს ტემპერატურაზე მოიხარშნენ. ეს ერთდროულად რამდენიმე პლაჟზე ხდებოდა, რომლებიც 225 კილომეტრზე სანაპიროს გასწვრივ იყო გადაჭიმული.

სონსმა აღნიშნა, რომ მიდიები მის ეკოსისტემაში ძირითად სახეობას წარმოადგენს და თუ ისინი სერიოზულ ზიანს განიცდიან, ეს არა მხოლოდ მათზე აისახება, არამედ სხვა სახეობებზეც, რაც თავისთავად ცვლილებებს გამოიწვევს კალიფორნიის მთელ სანაპიროზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6 ივლისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8012

ევრო — 3.1547

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5133

100 რუსული რუბლი — 4.4217

## ამინდის პროგნოზი 6 ივლისისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

9 ივლისიდან



ჯეიმს ფონიმორ კუპერი

**ჯაშუში**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

2 ივლისიდან

ანა სიუელი

**მშვენიერი შავრა**



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## ჩილეს ნაკრების მეკარეს მოკვლით ემუქრებიან



ჩილემ კოპა ამერიკის ნახევარფინალში პერუსთან 0:3 წააგო. ერთ-ერთი გოლის დროს ჩილეს მეკარემ გაბრიელ არიასმა უხეში შეცდომა დაუშვა. ამის გამო 31 წლის მეკარეს სოციალურ ქსელში მოკვლითაც დაემუქრნენ, რის გამოც მან თავისი ინსტაგრამის გვერდი გააუქმა. არიასის თქმით, ის თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს.

სამხრეთ ამერიკაში უკვე იყო შემთხვევა, როდესაც მოედანზე დაშვებული შეცდომის გამო ფეხბურთელი სიცოცხლეს გამოასალმეს. ეს 1994 წლის 2 ივლისს მოხდა. მაშინ კოლუმბიელი ანდრეს ესკობარი საკუთარ კარში გატანილი გოლის გამო მოკლეს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## გველმა შუაღამისას კარზე ზარი დარეკა

ამერიკის ტეხასის შტატში გველი კედელზე აცოცდა და სახლის შესასვლელი კარის ზარი დარეკა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.

ქალაქ კონვერსის მცხოვრებმა ბელინდა მუნისმა განაცხადა, რომ ღამის პირველ საათზე მის კარზე დარეკეს. ის შემოსასვლელთან მივიდა, კარი გააღო და იქ გველი დახვდა.

სათვალთვალო კამერის ჩანაწერში, რომელიც ქალმა ინტერნეტში გამოაქვეყნა, ჩანს, თუ როგორ ნელა მიხოხავს კედელზე ქვეწარმავალი, შემდეგ კი თავს ზარის ღილაკს აჭერს.

მუნისს იმედი აქვს, რომ მისი ვიდეო ხალხს შეახსენებს, რომ ყოველთვის სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ და სიცხეში გველებს მოერიდონ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## იუმორი

ქირურგი პაციენტს ეუბნება:

– თავიდან ლურსმნის ამოძრობა ათასი ლარი დაგიჯდებათ!

– კი მაგრამ, ექიმო, მე ხომ პოლისი მაქვს!

– პოლისით, შემიძლია, ლურსმანი გადაგილუნოთ, ხელი რამეში რომ აღარ შეგიშალოთ...

•••

ერთი ნათესავი მეორეს ეკითხება:

– რას აკეთებ ისეთს, რომ ასე დაღლილი გამოიყურები?

– ტელევიზორს ვუყურებ, ვჭამ, კომპიუტერში ვთამაშობ, აბაზანაში ვწვები, ვმღერივარ, მძინავს...

– თავი სულ არ გეცოდება?..

•••

პარაშუტით ხტომის ინსტრუქტორს მამაკაცი ეკითხება:

– რა ღირს პარაშუტით გადმოხტომა?

– 500 ლარი.

– რა ამბავია, და პარაშუტი რომ არ გაიხსნას?

– ფულს დაგიბრუნებთ.

•••

დილით პლაჟზე დამტარებელი მიდის და იძახის:

– აბა, ცივი ლუდი, ცხელი ხინკალი.

საღამოს:

– აბა, ცხელი ლუდი, ცივი ხინკალი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## არიენ რობენმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა



ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა არიენ რობენმა კარიერა დაასრულა. ამის შესახებ მან ოფიციალური განცხადება გააკეთა.

რობენი უკვე 35 წლის არის და მან ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა:

– ტრავმებმა ჩემზე გავლენა იქონიეს და ვფიქრობ დროა, რომ კარიერა დავასრულო. ჩემთვის ამ გადაწყვეტილების მიღება იოლი არ იყო, მაგრამ მივხვდი, რომ სხვაგვარად არ შეიძლებოდა. მადლობელი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც ამ წლების მანძილზე გვერდით მედგა.

რობენმა კარიერის საუკეთესო ნაწილი მიუნხენის ბაიერნში გაატარა.

## ჟოზე მოურინიოს იტალიაში სურს მუშაობა



ჟოზე მოურინიო კვლავინდებურად გუნდის გარეშეა, თუმცა ის ფეხბურთიდან წასვლას არ აპირებს და მალე სურს ახალ გუნდში მუშაობის დაწყება.

მოურინიოს თქმით, ის მხოლოდ ძლიერ გუნდს ჩაიბარებს და საშუალო დონეზე მუშაობა არ სურს:

– უკვე ბევრ გუნდს ვუთხარი უარი, რადგან მათი დონე არ მაკმაყოფილებს. ჩემი მომავალი მხოლოდ ფეხბურთთან არის დაკავშირებული და მინდა, რომ მუშაობა მალე დავიწყო. ვფიქრობ, იტალიის ჩემპიონატი ყველაზე კარგი ვარიანტი იქნება.

## ანდერ ერერა პსჟ-ში გადავიდა



მანჩესტერ იუნაიტედის ესპანელი ნახევარმცველი ანდერ ერერა კარიერას პსჟ-ში გააგრძელებს.

ერერა უკვე ჩაფრინდა პარიზში და პსჟ-სთან 5 წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

პარიზელებმა ერერა იაფად შეიძინეს და მასში მხოლოდ 15 მილიონი ევრო გადაიხადეს. სავარაუდოდ მანჩესტერს ისედაც უნდოდა ესპანელი ნახევარმცველის გასხვისება და მათ ვაჭრობა აღარ დაიწყეს.

ერერამ განაცხადა, რომ პსჟ-ში თამაში მისთვის უდიდესი პატივია.

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. კახეთში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ფრანგული ჯიში; 2. მე-18-19 საუკუნის ფრანგი დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე; 3. რაიმე დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 4. სწრაფმავალი, მოტორიანი სპორტული ნავი; 5. ოთხფეხა შინაური ცხოველი; 9. სამელექტროდიანი ელექტრო-ვაკუუმური ნათურა; 11. ძვირფასი თვლებით შემკული ქალის გვირგვინი; 12. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 14. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 18. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 19. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია ამერიკის სამხედრო საზღვაო-საჰაერო ბაზა.

**თარაზულად:** 4. ღვინის ვაჭარი ძველად; 5. ქართველი ასტროლოგი; 6. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 7. ურუგვაის ნაკრებისა და „ბარსელონა“-ს ფეხბურთელი; 8. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 10. პატარძლის მეჯვარე ქორწილში; 13. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 15. აეროპორტი პრაღაში; 16. თხუნელას მეორე სახელწოდება; 17. ქართლში გავრცელებული ვაზის ფრანგული ჯიში; 20. ინფექციური დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმი; 21. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 22. ტაჯიკეთის დედაქალაქი; 23. ნახატი ზღვის ხედით.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*


რუნ ჩან ვან + მა ინ ლონ



გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ



ჯიან პი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი



გუი ფუ დი ჰუანგ ვან + ცუნ ცაო

აუმჯობესებს პოტენციას






ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/